# სახალხო გაზეთი

№ 711 კვირა, 30 სექტემბერი 1912 წ. № 711

**განცხადების ფასი:** ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო-ჯერ სადამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა ,,შრომა''-ში, მუხრანის ქუჩა, და ღირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და მ. მეტცლ და ამხ.-ბის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში--მორსკაია 11, ვარშავაში--მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში--ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება ,,სახალხო გაზეთი''-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე. საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; [illegible] წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. [illegible] პარასკება შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, [illegible] საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახ. № 6. ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისთვის: ტფილისი, ქართული ,,სახალხო გაზეთი'' 190.

ტელეფონი № 12-29

გაზეთის ფასი წელიწ. 8 მ. 50 კ. ცალკე № ყველგან 5 კ.
,, ,, თვეში — 75 კაპ. დამატებიანი 7 კ.

## ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა.


დღესასწაულისა გამო შემდეგი ნომერი გამოვა ოთხშაბათს, 3 ოქტომბერს.

---

## სახალხო გაზეთი

სურათებიანი დამატებით მიიღება ხელის მოწერა 1912 წლისათვის.

(არ მიიღება ხელის მოწერა ცალკე, უდამატებოდ და არც სურათებიანი დამატება იყიდება ცალკე).

**წელიწადში ღირს 8 მან. 50 კაპ.**

1 ღვინობისთვიდგან წლის დამლევამდე ღირს **2 მ. და 25 კ.**

**თვეში ღირს — — 75 კაპ.**

(როგორც ქალაქში, ისე ქალაქ გარედ).

საზღვარ-გარედ თვეში ზედ-[illegible] 25 კაპ.

წლ. ხელის მომწერთ (რომელთაც პრემია „[illegible]მლი" ერგებათ) 8 მან. 50 კ. უნდა ჰქონდეთ გადახდილი შემდეგ ვადებ[illegible] პირველად 3 მ., 1 მარტისათვის 5 მან., 1 მაისისათვის 7 მ. და [illegible] 50 კ. 1 ივლისამდე.

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თ ვ ი ს 1 რ ი ც ხ ვ ი დ ა ნ, მხოლოდ სრული თვეებით და მხოლოდ მიმდინარე წლის ბოლომდე.

გაზეთს, ფულის მიღების უფლებით, არსად არავითარი აგენტი არა ჰყავს (გარდა წ.-კ. ს. მთავარ გამგეობის ტფილისის წიგნის მაღაზიისა) და ამიტომ პასუხს აგებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ფული ან ფოსტით არის გამოგზავნილი, ან პირდაპირ კანტორაშია მიღებული.

რედაქცია დაუბეჭდავ ნაწერების შესახებ ავტორებთან მიწერ-მოწერას არ ჰმართავს, თუნდ საპასუხო მარკაც იყოს გამოგზავნილი და დაუბეჭდავ წერილებსაც არ ინახავს. დანარჩენ შემთხვევაში ყოველ შეკითხვის ან რაიმე ცნობის შესახებ საპასუხოდ საჭიროა **ფოსტის მარკა**, დანარჩენი პირობები იხ. გაზეთის სათაურში.

---

**ალექსანდრე თომას ძე თუმანიშვილი** და **მისი შვილები** უგულითადეს მადლობას სწირავენ ყველას, ვინც პირადად, წერილობით თუ დეპეშით ნუგეში სცა პირველის საყვარელ მეუღლისა და უკანასკნელთა დედის

**ელისაბედ გრიგოლის ასულ თუმანიშვილის**

გარდაცვალების გამო. 1527.

---

**სოფიო ივანეს ასული, ივანე, სუსანა, რუბენ, თამარ მიხეილის ასული, ლევ კაუჩხევი, ზაქარია გაბრიელის ძე ალხაზიშვილი** გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ გარდაიცვალა პირველისა მეუღლე, მეორეთა და მესამეთა—მამა და სიმამრი, მეოთხეთა—ძმა

## მიხეილ გაბრიელის ძე ალხაზიშვილი.

დასაფლავება მოხდება **ფოთში** სამშაბათს, 2 ოქტომბერს, დილის 11 საათზე. 1539.

---

კვირას, 30 ენკენისთვეს ანჩისხატის საკრებულო ტაძარში გარდახდილ იქნება ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი განსვენებულ

## ელენე ქაიხოსროს ასულის სალარიძის

სულის მოსახსენებლად, რასაც აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ დედა **ეკატერინე დიმიტრის ასული და ქეთო ფურცელაძენი.** წირვა დაიწყება 10 საათზე. 703.

---

დღეს, კვირას, 30 ენკენისთვეს ანჩისხატის საკრებულო ტაძარში გარდახდილ იქნება ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი განსვენებულ

## ელენე ქაიხოსროს ასულის სალარიძის

სულის მოსახსენებლად, რასაც აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ **მეუღლე მისი ვლადიმერ არჩილის ძე სალარიძე** წირვა დაიწყება დილის 10 საათზე. 706.

---

ორშაბათს, 1 ოქტომბერს დიდუბის ეკლესიაში, წირვის შემდეგ, 11 საათზე გადახდილ იქნება პანაშვიდი ქ. ხილნალში 28 ენკენისთვეს გარდაცვალებულ

## მარია ქაიხოსროს ასულის ნადიროვის

სულის მოსახსენებლად, რასაც მწუხარებით აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ შვილი მისი **ზაქარია კონსტანტინეს ძე ნადიროვი.** 708.

---

**ტელეფ. № 795.** ## ქართული თეატრი **ტელეფ. № 795.**

**დღეს, 30 სექტემბერს 1912 წ.** ქართ. დრამატ. საზოგადოების დასის მიერ წარმოდგ. იქნება პირველად ქართულ სცენაზედ ტრაღედია **სოფოკლესი**

## ანტიგონე

თარგმ. ბერძნულით გ. გვაზავას მიერ,

მუსიკა ხოროსა და ორკესტრისათვის **ფელიქს მენდელსონ—ბერტოლდისა.** წარმოდგენის დაწყებამდე **გ. გვაზავა** წაიკითხავს მოხსენებას ,,ანტიგონეს'' შესახებ. **შეკერილია ახალი ტანისამოსი და დამზადებულია სპეციალური დეკორაციები.** მონაწილეობას მიიღებენ: სიმფონიური ორკესტრი **ნ. ქართველიშვილის** ლოტბარობით და მომღერალთა გუნდი **პ. ფალიაშვილის** ხელმძღვანელობით.

**მომქმედნი პირნი:** ქ-ბნი გოგოლაშვილი, დავითაშვილი, ძარგარეთელი, ლოლუა, მარგარიტა, სინაურიძე, ქიქოძე, შოთაძე. ბ-ნნი: აბდუშელი, ალექსიძე, გუნია, ზარდალიშვილი, მაჭარაძე, მგალობლიშვილი, სარაული, შალიკაშვილი.

**დასაწყისი საღამოს 8 საათზე ადგილების ფასი ჩვეულებრივია.**

თეატრის დირექცია დაბეჯითებით სთხოვს ბ. მაყურებელთ ფარდის ახდამდე დასხდნენ თავიანთ ადგილზე, რადგანაც ფარდის ახდის შემდეგ დარბაზში აღარავის შეუშვებენ.

რეჟისორი **კ. ანდრონიკაშვილი.**

ქართ. დრამატ. საზოგად. ადმინისტრაცია. 1534.

---

## ქუთაისის ამომრჩეველთა საყურადღებოდ.

### 4 ოქტომბერს დანიშნულია ამომრჩეველთა არჩევანი

## აირჩიეთ

გრიგოლ ივანეს ძე გველესიანი (იურისტი)
ივანე (კიტა) გიორგის ძე აბაშიძე.
დავით ბესარიონის ძე ხელთუფლიშვილი (ნაფიცი ვექილი). 1528

---

ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა **ღარიბ მოწაფეთა დამხმარე საზოგადოების გამგე კომიტეტი** აცნობებს ამა საზოგადოების წევრთა, რომ წლიური **საზოგადო კ რ ე ბ ი ს** გაგრძელება იქნება **ორშაბათს, 1 ოქტომბერს,** დილის 11 საათზე, თ.-აზნაურთა **დეპუტატთა საკრებულოს დარბაზში.** 1533

---

**კ. ი. ზუბალაშვილების სახალხო სახლი**
**სახალხო მუსიკის საზოგადოება იწყებს სეზონს.**

**ორშაბათს,** 1 ოქტომბ., 1812 წლის სამამულიშვილო ომის აღსანიშნავად დაიდგმება: 1) დიდებული უვერტიურა 1812 წ. ჩაიკოვსკისა, რომელსაც ვ. ა. სემიჩალოვის ლოტბარობით შეასრულებს სიმფონიური ორკესტრი. 2) შეთხზული რომანსი „ორი გრენადერი" თხზ. შუმანისა—შეასრულებენ ბ-ნ აგასოვი, დუელი და შებუევი ორკესტრთან ერთად. 3) **,,სამამულიშვილო ომის''** აღსანიშნავ სიმღერებს—ბ-ნ პოლიკარპე ფალიაშვილის ლოტბარობით შეასრულებს ხორო. 4) ,,სიცოცხლე მეფისათვის, ოპერა გლინკასი, 1 მოქმედ. სცენა მონასტერთან, ჰიმანი კრემლთან. მონაწილეობენ: ქ-ნი გუსაკი, მიხაილოვისა. ბ-ნ აგასოვი და ბუტილოვიჩი. ხოროსა და ორკესტრს ხელმძღვანელობს ბ-ნი პ. ფალიაშვილი. **დასაწყ. საღ. 8 ს.** ადგილების ფასი 5—80 კაპეიკამდე. ბილეთები ყოველ დღე იყიდება თეატრის კასაში. გამგეობის მორიგი წევრი **თ. ი. დოლიძე.** 701

---

**ძმ. ზუბალაშვილების სახალხო სახლი.**

**ხუთშაბათს, 4 ოქტომბერს.** ცხოვრებ **ა კ ა კ ი ს** მონაწილეობით გაიმართება

## სალიტერატურო-სამუსიკო საღამო

ს ა მ ს გ ა ნ ყ ო ფ ი ლ ე ბ ა დ:

I

**აკაკი, ს. მგალობლიშვილი** და ახალგაზრდა მწერლები: ბ.ბ ახოსპირელი, ქუჩიშვილი, გრიშაშვილი, ევდოშვილი, ირეთელი და სხვ. წაიკითხავენ თავის ნაწარმოებებს; მსახიობი **ო. ლეჟავა** და 10 წლ. მარო ირემაშვილი წაიკითხავენ ლექსებს; ბ.ბ. გოცირიძე და ბაქრაძე იმღერებენ კუპლეტებს.

II

სტ. ი. ირემაშვილი და მისი სამი შვილი ქართულ ტანისამოსებში აკაკის თანდასწრებით იმღერებენ: 1) იავნანა, 2) კავკასიის მაღალ ქედზე, 3) ჩონგურს სიმები და სხვა. სიმღერების დროს იქნება ფერადი შუქით განათებული შესაფერი სურათები.

III

ტფილისის ქართული საამხანაგო მომღერალ მგალობელთა გუნდი მ. კავსაძის ლოტბარობით გლეხურ ტანისამოსებში გამოწყობილი შეასრულებს პატარა სცენებს სოფლის ცხოვრებიდან ხალხური სიმღერებით.

**დასაწყისი საღამოს [illegible] საათზე** ბილეთების ფასი 20 კ.—1 მ.

გამგე ს. მგალობლიშვილი. რეჟისორი ა. წუწუნავა. 709.

---

**ავლაბრის სახალხო თეატრი** (მურაშკოვსეული).
ავლ. ქართულ საზოგ. წარმოდგ. მმართველ წრისა.

**კვირას, 30 ენკენისთვეს.** ავლაბ. ქართ. სახალხო წარმ. მმართველ წრის მიერ, მსახიობ **ი. ივანიძის** და წრის **ხოროს** მონაწილეობით წარმოდგენილ იქნება: **პატარა კახი,** ისტორიული დრამ. 5 მოქმედ. **აკაკისა.** მონაწ. მიიღებენ ქ-ნნი: მარგველაშვილი, ფეიქრიშვილისა, მაისურაძე; ბ-ნნი: ივანიძე, სალაყაია, მჭედლიშვილი, მაისურაძე, თავდგირიძე, სულთანიშვილი, ჯიბლაძე, მ. მაისურაძე, მეხუზლა და სხვა. **დასაწყ. საღ. 8½ ს.**

**ანტრაქტებში დაუკრავს წრის სიმებიანი ორკესტრი.**

**ანონსი:** საზოგადოების თხოვნით მზადდება წარმოსადგენად ,,დღენი ჩვენი ცხოვრებისა" დრ. ლ. ანდრეევისა.

ადმინისტრაცია წრისა. მორიგი გამგე **ბ. ლანდი,** რეჟისორი **ი. ივანიძე.** 1484

---

## ა ხ ა ლ ი კ ლ უ ბ ი

(ზამთრის შენობა).

**ორშაბათს, 1 ოქტომბერს,** საზამთრო თეატრის დარბაზში გამართულ იქნება **ჩვეულებრივად**

## სინემატოგრაფი.

**დასაწყისი საღამოს 8 ს.** 1536

---

ს ა ს ტ უ მ რ ო **უნივერსალი**

(ძველად ,,მუხრანის ნომრები'') **ტფილისში, გოლოვინის პროს.** სახელმწიფოს და კერძო დაწესებულებათა შუაგულში; ნომრები ახლადაა გადაკეთებული მშვენივრად; დიდად ხელსაყრელი ცოლშვილიანებისათვის. ფაქიზი სისუფთავე, ზრდილობიანი და სხარტი მოსამსახურენი. როგორც კაცები ისე ქალები; ელექტრონული განათება, ცხელი და ცივი ვანები. გვაქვს ორ-ორი და სამ-სამი ოთახი, ფანჯრები და აივანებიც ქუჩის მხარეს აქვთ. ნომერი 80 კ.—5 მანეთამდე ღირს დღე-ღამეში, თვიურად 15 მან. 80 მანეთამდე. თვიურ მდგმურებს დიდ შეღავათს ვაძლევთ ქირაში. **ტელეფ. № 499.** 1481

---

ტფილისის ქართული **ფილარმონიული** ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ ი ს

## სამუსიკო სკოლა

**გადავიდა ახალ სადგომში** (კორგანოვის ქუჩაზე, ალ. გრ. რჩეულიშვილის სახლში № 6.

**მოწაფეთა მიღება:** ფორტეპიანოსა, სკრიპკისა, ვიოლონჩელისა, კონტრაბასის სიმღერა (solo), ელემენტარული თეორიის, ნოტების კითხვის (solfeggio), გარმონიის, ენციკლოპედიისა და გუნდის **კლასებში დაიწყება 27 აგვისტოდან** ყოველ დღე, (კვირა-უქმის გარდა), დილის 10—2 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე სკოლის კანტორაში. სწავლის ფასი: ფორტეპიანოსი, ვიოლონჩელისა და კონტრაბასის კლასებში 65 მანეთი წელიწადში, სკრიპკისა და სიმღერა (solo), 75 მანეთი თეორეტიულ კლასებში 15 მანეთი წელიწადში სწავლის ფული გადახდილ უნდა იყვეს ნახევარის წლობით.

მასწავლებელთა ს ა: ფორტეპიანოს კლასში: ქ-ნ მ. ამირეჯიბისა, ნ. კ. კალაშნიკოვისა ო. მ. ბერგი-პივოვაროვისა, ე. ვ. ფოგელისა და თ. ს. ზაბუროვისა; სკრიპკის კლასში მ. ტ. ვასილიევი; ვიოლონჩელის კლასში: ე. ნ. კოპელნიცკი; კონტრაბასის კლ.: მ. ი. შერბოვი; სიმღერა (solo) ე. ბროჯი. თეორიის კლასებში და ნოტების კითხვა ზ. პ. ფალიაშვილი.

ახლად მოწვეულ იქმნენ მასწავლებლებად: პეტერბურგის კონსერვატორია, დამთავრებული პროფ. დუბაროვის კლას. თავისუფალი ხელოსანი ელ. გრ. ქიქოძისა და მოსკოვის კონსერვატორია დასრულებული პროფეს. იგუმნოვის კლასში თავისუფალი ხელოსანი ნ. ივ. ბაბასინოვისა

ხმების გასინჯვა, ქალთა და ვაჟთა, ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში, არსებულ ქართულ გუნდისთვის მოხდება ყოველ დღე 5—7 საათამდე საღამოთი.

სწავლა დაიწყო 2 სექტემბრიდგან. 1429

---

## კბილის ექიმი

**მამულაიშვილი-ხოდნევისა**

წამლობა, პლომბის გაკეთება ფაიფურით და ოქროთი. კბილის ამოღება უტკივილოდ. ოქროს ,,კორონკები'' და ,,ვსტავკები'' (ახალი სისტემის პლომბი, რომელიც არ იშლება და არ ვარდება). ბრუნდი კბილების გასწორება. მიღება დილით 8—2 საათამდე, საღამოთი 5—7 საათამდე. ოლგას ქუჩა № 20, ბინა—5. 1504

---

**დოქტორი მედიცინისა ბერლ. უნივერს.**

## გ. გ. მეგრაბიანცი

შინაგ. ავადმყ., ავადმყოფობ. ფილტვ.—ტუბერკულ. და გულისა. წამლობს ტუბერკულინით, რადიისა და ელექტრონის პრეპარატებით. იღებს ყ.-დღ. **ახალ ბინაზე** დილ. 9—12 ს. და საღამ. 5—7 საათ. ადრესი: **სოლოლაკი,** ბებუთოვის ქ., № 23 (განოვის ქ. კუთხე). **ტელეფ. 7—92.** 1497

---

ელექტრონისა და რენტგენის
ს ა მ კ უ რ ნ ა ლ ო
**მიხ. გედევანიშვილისა**

ავადმყოფებს იღებს ყოველ-დღე დილ. 12—1 ს., საღამოს 6—7 ს., გაშინჯვა და გადაღება რენტგენის სხივებით. ვერა, ყორღანოვის ქ. № 20. წ. 1022

---

**ექიმი** ალ. სოლოღაშვილი იღებს ავადმყოფებს 9—2 საათ. და 5—4 საათ. გოლოვინის პრ. № 12. 1334.

---

**ექიმი** შ. ა. მიქელაძე იღებს **შინაგან და ბავშვთა სნეულებიან** ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ.—6½ საათ. კახეთის ქ., № 6.

---

## საბავშვო ბაღი

**ა. გედევანიშვილისა**

თხოულობს მშობლებს, ვისაც ჰსურს მიაბაროს ბავშვები, მობრძანდნენ კვირას, 30 ენკენისთვეს, შუადღის 12 საათზე, ყორღანოვის ქ., № 20, კომიტეტის და მასწავლებლის ასარჩევად და მიმდინარე საქმეების განსახილველად. 1532.

---

## მომღერალ ქალ-ვაჟთა

რომელთაც სურთ მონაწილეობა მიიღონ

## კ. გ. ფოცხვერაშვილის ხოროში

სთხოვენ წინდაწინვე ჩაეწერნენ ახალი კლუბის კანტორაში. 1535.

---

ა ხ ა ლ ი კ ლ უ ბ ი

,,ახალი კლუბის" მამასახლისთა **საბჭო**

ამით აცხადებს, კლუბის წევრთა და მუდმივ მოსიარულეთა საყურადღებოდ, რომ **1 ღვინობისთვიდან, კლუბი გადმოდის ზამთრის შენობაში.** ამ დღიდან საზაფხულო სეზონის ბილეთები უქმდება და ეკარგებათ ძალა. 1536.

---

შ ე ი ძ ლ ე ბ ა დ ა კ ვ ე თ ა:

## ილია ჭავჭავაძის თხზულებანი

**ექიმ მიხეილ გედევანიშვილის საგანგებო გამოცემა**

წიგნი დაიბეჭდება ძვირფას ქაღალდზე; ილიუსტრაციებით; ძვირფასი ყდით; შეიცავს დაახლოვებით 600 გვერდს; მოთავსებული იქნება ყველა

ლ ე ქ ს ი და [illegible] ლ ე ტ რ ი ს ტ უ ლ ი ნ ა წ ა რ მ ო ე ბ ი,

(აგრეთვე ჯერ დაუბეჭდავი), [illegible] მგოსნის ვრცელი ბიოგრაფია და მისი ნაწარმოებების კრიტიკული განხილვა. ფორმატი in quarto.

**ფ ა ს ი 8 მ ა ნ ე თ ი,** რომლის გადახდა შეიძლება სამ ნაწილად; 3 მან. ხელის მოწერისთანავე, 3 მ. ენკენისთვეში და 2 მ. გიორგობისთვეში. ვინც 100 ცალზე ნაკლებს არ გამოიწერს. 10% დაეთმობა. გასასყიდად წიგნი არ გამოვა. დამკვეთელთ წიგნები დაურიგდებათ 1913 წელში.

წიგნის დაკვეთა შეიძლება: ტფილისში, ყორღანოვის ქუჩა, № 20, ექიმ მიხეილ გედევანიშვილთან; და წერა-კითხვის საზ. წიგნის მაღაზიაში.

ტფილისში აგენტად დანიშნულია ნიკოლოზ ლონგინოზის ძე კავსაძე.
ქუთაისში—წ. კ. ს. მდივან იასონ ბაქრაძესთან და იოსებ ოცხელთან.

| | |
|---|---|
| ფოთში—იონა მეუნარგიასთან. | თელავში—თამარ აბაშიძესთან. |
| სამტრედიაში—ბ. ი. სტურუასთან. | ხონში—ეფროსინე ჭიჭინაძესთან. |
| სიღნაღში—ექ. ჯანდიერთან. | ბაქოში—ილია აგლაძესთან. |
| სოხუმში—ნიკო თავდგირიძესთან. | ოზურგეთში—ექ. დიმ. ერისთავთან. |
| ჭიათურაში—წ. კ. გ. ს. [illegible] ლეკანოზიშვილთან. | ერევანში--ელენე ვირსალაძესთან |

ბათომში—ს. მდივანთან. კავკავში—სოფიო კალანდარაშვილთან.
გორში—ნიკო ლომაურთან. ახალციხეში—როზალია ალელიშვილთან

ვინც წიგნის დასაკვეთად ფულს ფოსტით თვით გამომცემლის სახელზე გზანის, მათთვის გასამართლებელ საბუთად საკმარისია თვით ფოსტის კვიტანცია. 153

---

## ქ. შ. წერა-კით. გამ. საზოგ. წიგნის მაღაზიაში

**ისყიდება ახლად მიღებული წიგნები:**

| | |
|---|---|
| სამშობლოს აღწერა ს. რობაქიძისა . . . . . . . . 50 კ. | ვინაობა მესხური დავითნის ქრონიკების ავტორისა. მისივე 10 „ |
| ქართ. მოკლე გრამატიკა ნიკოლაიშვილისა . . . . . 20 „ | Разборъ армазской надписи по фотографическому снимку. 10 „ |
| ქართ. გრამატიკა პირველ-დაწყებითი ხუნდაძისა . . . 20 „ | გ. ერისთავის რჩეული ნაწერები 60 „ |
| ისტორია ოსმალეთის ყოფილი საქართველოსი ზ. ჭიჭ. . 50 „ | ძუნწი. კომედია მისივე . . 5 „ |
| თამარ მეფე ს. კაკაბაძისა . 15 „ | ამხანაგი დრამა. პეპანოვისა . 25 „ |
| წმინდა ნინო მისივე . . . 15 „ | მართალი ამბავი, გიგაურის ას-სა 5 „ |
| Черты феодальнаго строя мисивე 20 „ | მოულოდნელი შემთხვევა. ვოდ. 15 „ |
| სჯულმდებელი ბაგრატ კურაპალატი . . . . . . . 20 „ | ქართული გალობა. ლიტურღია. პარტიტურა. ნოტებზე გადაღ. რაჟდ. ხუნდაძისა . . . . 60 „ |
| სჯულმდებელი ბექას და აღბუღას ვინაობა. მისივე . . 15 „ | ცისკარი. ღმერთი უფალი I ხმა ნოტებზე გადაღ. სულხანიშვილი . . . . . . . 35 „ |

**ადრესი:** Тифлисъ, О-во распр. Гр. ср. гр. насел. 1141.

---

## გამოსულია და იყიდება

## ი. გედევანიშვილის პ ი ე ს ა

## „გ ა მ ც ე მ ი"

დრამა 3 მოქმედ. ფასი 25 კ.

---

**ექიმი** პ. ა რ დ ა ზ ი ა ნ ი შინაგან და ბავშვებ. ავადმყ. (სპეციალ. ფილტვებ. სნეულ. რევმატიზმიქარები) ტფილისი, ალექსანდროვის ქუჩა, № 3. 11—2 ს. საღამ. 5—7. 1045.

---

**ექიმი** კბილისა და ღრძილებისა ვ. ა. ქაჯაია იღებს ავადმყოფებს დილით 8—2 ს. საღამოთი 3—7 საათამდე. ელისაბედის ქუჩა, № 151. დიდუბე 043

—✦ ქ. გ ო რ შ ი ✦—

## ე. თარხან-მოურავის ქალთა სახელოსნო სკოლა

**ამით აცხადებს,**

რომ 20 მარიამობისთვიდან დაიწყო მიღება. 12 წლ. ნაკლები არ მიიღება. 12 წელზედ ზემოდ წლოვანობა განსაზღვრული არ არის. უპირატესობა ეძლევა წერა-კითხვის არ მცოდნეს. აქვე მიიღებიან მოწაფენი ბინითაც. დაწვრილებით პირობების გაგება წერილობით და პირადად. მისამართი: სამეფო ქუჩა, ერისთავის სახლში № 18. 1491.

## ტფილისის კერძო სამკურნალო

**ძმენიევის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 7, ვეტცელის სასტუმროს და მიხეილის პროსპექტ. ახლო**

**ტ ე ლ ე ფ ო ნ ი № 590.**

**სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით, განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.**

მწოლიარე ავადმყოფების მიღება შეიძლება ყოველ წამს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი სპეციალისტი-ექიმები:

| | |
|---|---|
| შინაგანი ავადმყოფობანი | **ლამბაშიძე ვ. დ.** (ყოველ დღე, გარდა კვირისა). 11½—12 საათ.<br>**დაგითიანი რ. ს.** (ყოველ დღე) 1—2.<br>**ქიქოძე ტ. ს.** (ორშაბათ. და ოთხშაბ.) 9—10.<br>**მაღალაშვილი გ. გ.** (ორშაბ., სამშაბ. და შაბათობით) 10—12.<br>**მანსვეტაშვილი ვ. მ.** (ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ.) 2—3.<br>**მიქელაძე შ. ა.** (ყოველ დღე) 12½—1.<br>**ფედოროვი ე. გ.** (ყოველ დღე, გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1. |
| [illegible] | **მარკევიჩი გ. ლ.** კონსულტანტი (ორშაბ., ოთხშ. და პარასკ.) 11½—12½.<br>**მელიქიშვილი ნ. მ.** (ყოველ დღე) 10—1.<br>**ფირალიშვილი რ. ბ.** (ყოველ დღე) 12—1. |
| [illegible] | ექიმი-ქალი **ვერბიცკი-ფირალოვისა ლ.** (ყოველ დღე) 11—12.<br>**მელიქიშვილი ნ. მ.** (ყოველ დღე) 10—1.<br>**სულხანოვი ა. ი.** (ყოველ დღე) 12—1.<br>**თოქაძე ი. ე.** (ყოველ დღე) 1—2. |
| [illegible] | **ლამბაშიძე ვ. დ.** (ყოველ დღ. კვირ. გარდა), 12½—12 ს.<br>**მიქელაძე შ. ა.** (ყოველ დღე) 12½—1.<br>**ფედოროვი ე. გ** (ყოველ დღე გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1. |
| [illegible] | **გედევანიშვილი მ. ა.** (შაბათობით) 10½—11.<br>**დაგითიანი რ. ს.** (ყოველ დღე) 1—2. |
| [illegible] | **ათენიანცი ნ. ა.** (ყოველ დღე) 1—2.<br>**ორემბოვსკი ნ. ს.** (ყოველ დღე) 2½—3. |
| [illegible] | **მუსხელიშვილი გ. ს.** (ორშაბათობით, ოთხშაბ. და პარასკ. 2—2½. |
| [illegible] | **მზარეულიშვილი მ. ი.** (ყოველ დღე) 1—1½. |

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. სისხლის გასინჯვა, ათაშანგ. Wassermann. რჩევისათვის 50 კ., საწოლები 2 მ. დაწყებული. ცალკე ოთახი 5 მანეთიდან. მშობიარობა 10 დღე წოლით ღირს 40 მ. ოპერაციები, კონსილიუმი. შარდის ბუშტისა და მილების კატეტერიზაცია; „606" **წამლის შეშხაპუნება**, ელექტრონით წამლ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შეღავათიანი საფასურით. №. 1010.

## საგურთალოზე

**მშვენიერ ალაგას,** ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მომავალ ხიდის პირდაპირ ლად დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ხელმისაწვდენელ ფასებში.

მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე **თაქთაქიშვილს**, დილის 8 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. საღამოს 5 საათ. ან 8 საათამდე. უმორჩილესად ვთხოვთ მიწის მყიდველებს, რომ **თავის დროზე შემოიტანონ დარჩენილი ვალი**, თანახმად ჩვენგან მიცემულ კვიტანციისა. №. 1020

## ვაგზლის კერძო სამკურნალო

**გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.**

ვაგზლის ქუჩა. № 8. ტელეფონი № 695.

**ე. ს. გაშაკაძე.** ყოველ დღე, შინაგან ავადმყ. 9½ ს. 10 ს.

**ა. ნ. ღოღოხამიძე** ყოვ. დღე, კვირ. გარდა. სიფილ. კანისა და ვენერ. 11 12 ს.

**ზ. ა. ბოთკოვი** ყოვ. დღე. კვირ. გარდა ყელ, ყურ. და ცხვ. სნეულ. 11 11½.

**შ. ა. მ ქელაძე** შინაგან და ბავშვთა ავადმყ. 1 2 ს.

**ნ. მ. ხელიძიშვილი.** ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1 2 ს.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური-ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი შეთანხმებით,

**წამლობა „606"** 1018

## ექიმი ივ. გომართელი

**დაბრუნდა** და განაახლა ავადმყოფების მიღება.

ვერაზე, ოლღას ქუჩა № 20. დილის 8—11 ს.-მდე, საღ. 5—7 საათ. 701.

## ექიმი ს. ი. გძელიშვილი

შიგნეულობისა და ვენერიულ ავადმყ. დილ. 9—11 საათ., საღ. 6—8 საათ. დიდუბე, საგურამოს ქ., (მუშტაიდის ბაღის შუაგულიდგან მარჯვნივ), № 21, ხრამელაშვილის სახლი. დღისით: 2—4 საათამდე ბარონისა და ბაზრის ქუჩის კუთხე, № 14. 1411

## ექიმ ი. ე. ჯაშის კაბინეთი

**ამბულატორიით.** მიიღებს შინაგ., ღედ. და სადოსტაქრ. ავადმყ. დილ. 8—11 ს. და საღ. 5—8 ს. დიდვანქის ქ., № 6. წინანდელი სადეპეშო კანტორა. 1480.

## სამკურნალო

სპეციალისტ სამხედრო ექიმებისა გარედან მოსიარულე ავადმყოფთათვის. ვანქის დიქ.-ზე, № 3, ალექსანდრეს ბაღის მახლობლად. ტელეფონი № 483.

**ფასი რჩევისათვის 50 კაპ.**

ავადმყოფთა მიღება 9½-დან 5 ს.-დე.

**ასპისოვი.** ცხვირ., ყელ. და ყურისა. ყოველ-დღე. 1—2 საათამდე.

**არგუთინსკი,** შინაგ., ბავშვ. ყ.-დღ. 10 ს. 1½ ს.

**მონსე.** ბავშ. და შინაგ. ავად. ორშ., ოთხშ. და პარასკ. 2—3 საათ.

**ნოვიცკი.** ქალთა ავად., ყ.-დ. 1—2 ს,

**კალამკაროვი.** ქალ. ავად. ყ.-დღ. 12—1 სათ.

**უკლადნიკოვი.** შინაგ. ავად. სამშ., ხუთშაბ. 4—5 საათ.

**თეთრაძე.** სიფ., ვენერ., კან. ყ.-დ. 1—3 ს.

**ჩუდნოვსკი ი.** ნერვ., სულ., ელექტროტერაპია, ყ.-დღე გარდა კ.-უქმისა 11½—12½

**რუდენკო.** შინაგ. ავად. კონსულტანტი ხუთშ., კვ. 3—4 ს.

**ვესელოვზოროვი** ქირურგ. ავად. ყოველ დღე, გარდა კვირ. დღ., 3—4 საათ.

**ერმოლაევი** —ბავშვ., შინაგან. ყ.-დღ. 1-2 ს.

**ტერ-ნერსესოვი.** ქირურგ. ყოველ დღე გარდა ხუთშ. 12½—1½ს.

**იოსელიანისა** ქალ. ავად., ორშ. ოთხშ., პარასკ., კვირ. 11—12 საათ.

**ბესსერი** შინაგ., ნევრ.-ავადმ. — სამშ., ხუთშ., შაბ. კვ. 2—3 ს.

**ბაგდოევისა,** კბილ. ყ.-დღე 3—5 ს.

**ლიმონი.** კბილ. ყ.-დღ. 10—11 ს.

**შამაში,** ქირურგ. ავადმყ. ყ.-დღ., კვ. გარდა 1½ 2½ ს.

**კუნთებში შეუშხაპუნებენ და ძარღვებში შეუშვებენ „606"-ს საღამოს 5—7 საათამდე.**

კონსულტანტი ხირურგ. ავადმყ. დამსახურ. პროფეს. საიმპერ. სამხ. მედიკ. ავად. პროფ. მ. ს. სუბოტინი ორშ., ხუთშ. 3—4 საათ., წინადაწინვე ჩაწერით. 366.

## ექიმი ი. ი. ბერიშვილი

სწამლობს **საშარდე ორგანოთა, ათაშანგისა და კანის ავადმყ.; ვასსერმანის** რეაქციით იკვლ. ათაშანგ. მოწამლ. სისხლს. მიღება ნაშუადღ. 3—5½ ს. **ელისაბედ. ქ., № 94, საფოსტო განყოფი.** პირდაპირ. 1530

## ექიმი ქალი დ. გ. საყვარელიძე.

იღებს ავადმყოფებს ქალისა და საბებიო. ნაშუადღ. 1—2 ს., საღამოს 5 6 საათამდე.

კიროჩნის ქუჩა, № 9. 595.


# ტფილისი, 30 სექტემბერი

**„გოლოს კავკაზა" და საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია.**

„გოლოს კავკაზაში" დაბეჭდილია წერილი ვინმე პუნდიტისა, რომელიც ეპისკოპოს დავითს ეკამათება. ჩვენ აზრადაც არა გვაქვს ეპისკოპოს დავითის ვექილობა ვიკისროთ, ვინაიდან პატივცემული ეპისკოპოსი თითონაც კარგად მოახერხებს თავის დაცვას. ჩვენ გვინდა მკითხველის ყურადღება მივაქციოთ „გოლოს კავკაზა"-ში დაბეჭდილ წერილის იმ ნაწილზე, რომელიც საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხს შეეხება. ეს აზრი შენიშვნაშია გამოთქმული, და ჩვენ იმდენად საყურადღებოდ მიგვაჩნია, რომ მოვიყვანთ სრულიად უცვლელად. „როდესაც ავტოკეფალისტები ამტკიცებენ თავიანთ **უფლებას** (კურსივი ავტორისაა) საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიაზე,—სწერს „გოლოს კავკაზა", ისინი ღია კარების ძალებას სცდილობენ, რადგანაც ამ უფლებას არავინ არ უარჰყოფს. სულ სხვა საკითხია! საჭიროა თუ არა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია. ამ მხრით ავტოკეფალისტების არგუმენტაცია ყოველგვარ კრიტიკის გარეშე სდგას. თუმცა ჩემის აზრით, თუ ქართველებს უნდათ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია—არავინ არ ეწინააღმდეგება ამას, განახორციელონ თავიანთის ხარჯით. ერთად ერთი უხერხულობა, თუ ეს უხერხულობა იქნება, იმაში მდგომარეობს, რომ ქართველ კათოლიკოსის თანამდებობის აღდგენის შემდეგ, საჭირო გახდება კავკასიის რუსთათვის მიტროპოლიტის კათედრის დაარსება. თუ ქართველები ვერ შეჰრიგებიან იმას, რომ ქართულ ეკლესიის საქმეებს რუსი ეგზარხოსი განაგებს, ვერც რუსები შეურიგდებიან იმას, რომ მათი საეკლესიო საქმეები ქართველ კათალიკოსს დაექვემდებაროს".

ეს ამონაწერი მრავალის მხრითაა საყურადღებო. უპირველეს ყოვლისა უნდა აღვნიშნოთ, რომ „გოლოს კავკაზასაგან" პირველად გვესმის ასეთი კატეგორიული მტკიცება—ქართველებს ისტორიული უფლება აქვთ, ქართულ ეკლესიის ავტოკეფალია მოითხოვონო. წინააღმდეგ სინამდვილისა, რუსის შოვინისტები, არ არსებულ ქართულ სეპარატიზმით დაშინებულნი, სრულიად წინააღმდეგს ამტკიცებდნენ. დღეს „გოლოს კავკაზა" სრულიად წინააღმდეგს ამბობს და ქართულ ეკლესიის ისტორიულ უფლებას აღიარებს. სამაგიეროდ პრაქტიკულის მოსაზრებით, სასარგებლოდ არ მიაჩნია ქართული ეკლესიის ავტოკეფალია. არ ვიცით, ვინა ჰყავს მხედველობაში „გოლოს კავკაზა"-ს, როდესაც ამასა სწერს,—რუსები თუ ქართველები, ქართულ ეკლესიისთვის სასარგებლო რომ არ იყოს ავტოკეფალია, ქართველები არც მოითხოვდნენ. იგი სასარგებლოა და სასარგებლოა უმთავრესად წმინდა საეკლესიო თვალსაზრისით. არც „გოლოს კავკაზა"-სთვის და არც ქართველ სამღვდელოებისთვის საიდუმლოებას არ უნდა შეადგენდეს, რომ ქართული ავტოკეფალური ეკლესია, თავის არსებობის პირველ ხანებში მაინც, ქონებრივად ღარიბი იქნება. იგი ისეთს მატერიალურ კეთილდღეობას ვერ მიანიჭებს თავის მსახურთ, რანაირსაც დღეს ანიჭებს რუსის ეკლესია. თუ, მიუხედავად ამისა, ქართველი სამღვდელოება მაინც მოითხოვს ავტოკეფალიას, ამას იმიტომა სჩადის, რომ იგი საეკლესიო თვალსაზრისით უფრო სასარგებლოდ მიაჩნია. ნაკლები მატერიალური კეთილდღეობა იქნება, მაგრამ სწორედ ეს გარემოება გამოიწვევს ქართულ ეკლესიის განახლებას. მაშინ ღვთისმსახურებას შესწირავს თავის თავს არა ყველა ის, ვისაც მღვდლობა მხოლოდ მატერიალურ კეთილდღეობისათვისა ჰსურს, არამედ მხოლოდ ისეთები, რომელთაც გულწრფელად ჰსურს ეკლესიის სამსახური.

„გოლოს კავკაზა" სწერს, ავტოკეფალიის წინააღმდეგი არავინ იქნება, თუ იგი თავის თავს თითონ შეინახავსო. სხვის დახმარებას არც არავინა თხოულობს. ქართულ ეკლესიას აქვს თავისი საკუთარი საეკლესიო ქონება, რომელიც დღეს მის განკარგულებაში არ არის, და რომელიც სრულიად საკმარისია ეკლესიის უზრუნველსაყოფელად. ავტოკეფალიის განხორციელება თავის თავად ჰგულისხმობს მისი საეკლესიო ქონების დაბრუნებასაც. თუ ეს ასე მოჰხდება, მაშინ ქართულ ეკლესიის ნორმალური არსებობა შესაძლებელი გახდება.

საზოგადოდ, თუ პოლიტიკანობით ძალად არ დავიბრმავებთ თვალებს, არც ავტოკეფალია და, თუ გნებავთ, არც ავტონომია, რუსეთის მთლიანობისათვის არავითარ საფრთხეს არ წარმოადგენს, რუსის შოვინისტები ყოველთვის განგებ აზვიადებენ ხოლმე საკითხს და ავტოკეფალიის მოთხოვნას სეპარატიზმად ნათლავენ. სეპარატიზმი რუსეთის სახელმწიფოდან გამოყოფვასა ჰნიშნავს. ვერ მოსძებნით დიოგენის სინათლითაც რომ ეძებოთ, ვერც ერთს ისეთს ქართველს, რომელსაც სეპარატიზმი, რუსეთიდან გამოყოფვა უტოპიად არ მიაჩნდეს, მთელი საქართველო რომ შემოიაროთ, ამ აზრის ერთს მომხრესაც ვერ იპოვით, მაგრამ, ვსთქვათ, კიდეც არსებობენ ასეთი უტოპისტები, განა მათ შეუძლიანთ ოდნავ მაინც შეარყიონ კავშირი რუსეთსა და საქართველოს შორის, რომელიც საუკუნოებით იკვრებოდა? ეს ხომ უკიდურესი პოლიტიკური სიბეცე და რომანტიზმი იქნებოდა, და პოლიტიკურ რომანტიზმს კი არასოდეს მაგრად არ გაუდგამს ფესვები.

მაგრამ ეს კიდევ იმას არა ჰნიშნავს თითქოს ქართველებს ეროვნული განახლება და განვითარება არ უნდოდეთ. ვერავითარი გამარუსებელი პოლიტიკა ქართველების ეროვნულ გათვითცნობიერებას ვერ შეაჩერებს. პირიქით, რამდენადაც მეტი იქნება დევნა, იმდენად მეტად გაიზრდება ძალა წინააღმდეგობისა. ქართველების გარუსება ისეთივე უტოპიაა, რანაირიც საქართველოს გამოყოფვა რუსეთიდან. მაშ რისთვის, ან ვისთვისაა საჭირო ქართველების დევნა? რომელ უმაღლეს სახელმწიფოებრივ ინტერესებით გინდათ დაასაბუთოთ ქართველების საწინააღმდეგო მოქმედება?

თუ, ერთის მხრით ქართველებს არავითარი სურვილი არა აქვთ რუსეთიდან გამოყოფვისა და, მეორის მხრით, არც დედა-მიწის ზურგიდან გაქრობასა და გარუსებას ჰლამობენ, უნდა გამოიძებნოს ისეთი საშუალება, რომელიც ქართველების ეროვნულ განვითარებასაც ხელს შეუწყობს და რუსეთის მთლიანობასაც არავითარ ზიანს მიაყენებს.

ასეთი საშუალებაც არსებობს, მაგრამ განა რუსის შოვინისტებს შეუძლიანთ შეითვისონ იგი?

# ახალი ამბავი

## ტფილისი

✦ **მცხეთობა.** ხვალ, 1 ოქტომბერს მცხეთის სვეტიცხოვლის ტაძარი თავის დღესასწაულს უქმობს. ამ დღეს ტაძარში მწირველი იქნება საქართველოს ეგზარხოსი ინოკენტი.

✦ **სეირნობა.** გუბერნატორმა ნება დართო ბავშვთათვის მზრუნველ ტფ. საზოგადოებას, 1 ოქტომბერს მცხეთაში სეირნობა გამართოს საზოგადოების ნივთიერ საშუალებათა გასაძლიერებლად.

✦ **ფილოქსერასთან ბრძოლა.** რადგანაც თელავის მაზრაში ფილოქსერა აღმოჩნდა, ამიტომ მევენახეობისა და მეღვინეობის ტფ. კომიტეტმა საგანგებო კომისია აირჩია, რომელიც კახეთს წავა და ფილოქსერის წინააღმდეგ ზომებს მიიღებს. კომისიაში შედიან: ა. დ. დემენტიევი, ვ. ი. რცხილაძე, თავ. დ. ე. ჩოლოყაშვილი, ბ-ნი ყაზახიშვილი და გ. ს. ნევოდოვსკი.

✦ **სახალხო აუდიტორია ვერაზე.** დღეს, ნაშუადღევის 12½ საათზე, ვერაზე, უდელნი ქუჩაზე, საძირკველს ჩაჰყრიან სახალხო აუდიტორიისას, რომელსაც სახალხო გასართობთა საზოგადოება აშენებს. დღესვე, საღამოს, და ხვალ ვერაზე, ეგრედ წოდებულ „ფიქრის გორაზე" გაიმართება დიდი სახალხო სეირნობა, რომლის მთელი შემოსავალი აუდიტორიის აგებას მოხმარდება. თუ ცუდი დარი იქნა, მაშინ სეირნობა 5, 6 და 7 ოქტომბრისთვის გადაიდება. სეირნობის პროგრამა მრავალმხრივი და საინტერესოა.

✦ **მეპურეთა გასამართლება.** როგორც მკითხველებმა იციან, ტფ. მეპურეებს მრავალი ოქმი შეუდგინეს პურის ნიხრის დარღვევისათვის. დამნაშავე მეპურეებს ყოველ-დღე მომრიგებელი მოსამართლენი ასამართლებენ. გუშინ მესამე განყოფილების მომრიგებელმა მოსამართლემ გაარჩია საქმე შემდეგ მეპურეებისა: დავლიანიძისა, გიორგობიანისა და საგანელიძისა, ბურდულაძისა, ფახალოვისა და კარაპეტოვისა, დაუშვილისა, ელიაზაროვისა, სარქისოვისა და ეთმექჩიანცისა. თვითეული მეპურე 25 მანეთით დააჯარიმა. თუ ჯარიმას არ გადაიხდიან, ხუთ-ხუთის დღით დააპატიმრებენ.

✦ ამ დღეებში ადგილ ვაკეში შეუდგნენ ქუჩის მოკირწყვლას და ქა-

# წერილები უცხოეთიდან

**ათინა—ოლიმპია, 14—23 ივლისი.**

(შემდეგი *)

ამ სახიფათო პლანს.

აი აფროპოლისის მარტიროლოგი.

მეხუთე საუკუნეში ბიზანტიელებმა, რასაკვირველია, ქრისტიანეთა ეკლესიად აქციეს იგი და იმ დროინდელი ფრესკები დღესაც ამჩნევია კედლებს.

მე-XIII-ე ს. კათოლიკეთა ტაძრად გარდაჰქმნეს; მე-XV-ე საუკ. ოსმალთა საბატონოდ შეიქმნა, რომელთაც „პართენონი" თოფხანად გარდააქციეს (კიდევაც ვწერდი ამას) და მეორე მშვენიერი ტაძარი „ერეხტეიონი"—ჰარამხანად. 1687 წ. ვენეციელთა ჯარის ლეიტენანტმა ლუნებურგმა (შთამომავლობ. გერმანელმა) პართენონს ზარბაზნები დაუშინა, როგორც ოსმალელთა თოფხანას და იმ წლის 26 სექტემბერს საღამოს 7 საათ. პართენონი ააფეთქა ე. ი., მოიქცა ისე, როგორც ბარბაროსს, ვანდალს, შეეფერებოდა. ჩემი „ბელეკერი" ძალიან მარტივად, მაგრამ ორიოდე სიტყვით ახასიათებს თავის თანამემამულის მოღვაწეობას: „ლუნებურგმა მოიხვეჭა სამარცხვინო სახელი პართენონის დამქცევისა". მეტის თქმა არც არაფრისა შეიძლება და არც საჭიროა. თუ კაცის ენა უძლურია, გამოსთქვას ბერძენთა გულისწარმტაც ხელოვნების მშვენიერება, იგივე ენა მოკლებულია საშუალებას ღირსეულის სიტყვებით დააფასოს ლეიტენანტ ლუნებურგის საქციელი. არც ოსმალეთს ეკუთვნის რაიმე შენდობა ამისთანა საგანძურის თოფ-ხანად გარდაქცევისათვის—შენდობა კი არა, იგინი უნდა ჩაითვალონ ამ უბედურების მიზეზთა-მიზეზად და ამის შემდეგ შენ იტყვი კიდევ, რომ ეს ხალხი შესძლებს რაიმე შეჰქმნას ისეთი რასაც სიცოცხლისა, ადამიანების და სიძშვენიერის კვალი ემჩნევა. მთელი თავისი ხანგრძლივი სიცოცხლე მარტო ყოველივე სიკეთის დაქცევასა და გაცამტვერებას მოანდომეს და ეხლა შეუძლიათ სულ სხვა ახალ გზას დაადგნენ და ეს გზა ძლევა მოსილად გაიარონ. ღმერთმა ინებოს. არც ვენეციელები არიან წმინდა და უცოდველნი დიდებულის ძეგლის დამხობაში, მაგრამ თუ პართენონი დააქციეს, ტინტორეტო მოგვცეს, ტიციანი, პოლ ვერონეზი, ჯიორჯიონე და სხვანი მრავალნი, დაგვიტოვეს დოჟთა სასახლე. წმინდა მარკოსის ეკლესია, ამის გარდა მათაც ტანჯვა-ვაება დაატყდათ თავზე და თითქმის 70 წელიწადი ავსტრიელების მონებაში იყო ასე ვსთქვათ ერთგვარი ისტორიული სასჯელი მათაც გადახდათ, გერმანელების წარმომადგენელსაც ურევია წილი პართენოსის მოსპობაში. არც გერმანელებს დაუყრია ხეირი კაცობრიობისათვის. გერმანია უფრო კი მისი უმთავრესი სახელმწიფო პრუსსია, რომელიც თავზე გადაახტა ძველ გერმანიას, ყოველთვის ვანდალიზმისა და ბარბაროსების მოციქული ყოფილა. პრუსსია 75 წელიწადი ებრძოდა საფრანგეთის შარავანდედით შემკულ განმათავისუფლებელ მოძრაობას და ბოლოს მას ფოლადის მაგარი ლაგამი მოსდო და ცხოვრების დავთრები აუბნია. პრუსსიას უშველებელი ქვეყანა თითქმის ნახევარი მთელის ევროპისა ყურმოჭრილმონობაში ჰყავს და ყოველ ღონეს სდებს რომ ამ ბნელ ქვეყანაში საიდანმე სხივი არ შეიჭრას. პრუსსიელ გულ-ცივ დესპოტიზმის შიში სხვა ქვეყნებს ხელს უშლის კულტურულ მოღვაწეობის განვითარებაში და მარტო და მხოლოდ მილიტარიზმის განმტკიცებას იწვევს. ოსმალეთისა და სპარსეთის არ იყოს გერმანიის მხეცურის ძალის წარმომადგენელ პრუსსიას ჯერ არსად დაქცევისა და აოხრების მეტი არა შეუტანია-რა და ვინ იცის როგორ გაუსწორდება მასაც ულმობელი და სამართლიანი კანონი ისტორიისა და ცხოვრებისა, რომელსაც უყვარს ძლიერება და არა ვანდალიზმი, ძლევა-მოსილი მშვენიერება და არა ბარბაროსული გულქვაობა, რომელიც, მფარველად ცხოვრების აღმაშენებლებისა და არა დაქცევისა და აოხრების ინსტინქტებით გაჟღენთილის ველურებისა...

იმ დღიდან რაც ლეიტენანტმა ლუნებურგმა ასეთი სიმამაცე, ნამდვილი „პრუსიელი" სიმამაცე გამოიჩინა და „პართენონი" ააფეთქა შეიქმნა ევროპიელების მიერ წეწვა გლეჯვა ამ საოცარის ნაშთისა. „კულტუროსანი" ევროპიელები ვაჟბედულის ლეიტენანტის მოქმედებით წაქეზებულები მოსდგნენ პარდახის აოხრებასა და გაძარცვას და ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ ყაჩაღობაში.

პირველი ულუფა ერგო, რასაკვირველია, ვენეციელთა წარმომადგენელს ფრანჩესკო მოროზინს. მიუხედავად პართენონის აფეთქებისა, რადაც სასწაულით მის ფრონტოს ბარელიეფები შერჩა. თითქო ბუნების კანონებმაც თავისი წესიერი მსვლელობა შეაჩერესო, რომ ესდენ დიდებული ნაწარმოები არ შეებღალათო. მაგრამ იქ სადაც ბუნება თავს იხრიდა, ადამიანი ბრიყვულად იქცეოდა და ანადგურებდა მას, რის წინაშეც მუხლი უნდა მოეყარა.

ფრანჩესკო მოროზინმა ამ ბარელიეფების ჩამოღება მოიწადინა, რათა საომარ ტროფეებად გაეგზავნა ვენეციაში. მაგრამ ისე უშნოდ და უხერხულად მიიტანა პირთან ლუკმა, რომ ლუკმა ხელიდან გავარდა. რაღა საარაკო ყვავის საქმე მოუვიდა იმ განსხვავებით, რომ პირუტყვთა სამეფოში ცხოვრებისთვის ჭიდილი და ბრძოლა უფრო გონიერად არის დამთავრებული: ბრიყვისა და სულელის კერძი გონიერსა და მოხერხებულს რჩება. ხოლო „ადამიანთა", ამ ბუნების „მეფეთა" შორის იმავე ბრძოლას უფრო ხშირად ისეთივე სულელური ნაყოფი მოაქვს ხოლმე ამ სავანზე აღმოცენებული: „ავი ძაღლი (კაცი უნდა იყოს ნათქვამი, უფრო სამართლიანი იქმნებოდა) არც თვითონ სჭამს, არც სხვას აჭმევს". მართლაც ამ ანდაზის გასამართლებლად ფრანჩესკო მოროზინმა ისე ხეპრედ და უშნოდ ჩამოაღებინა ბარელიეფები, რომ ძირს ჩამოვარდა და დაიმსხვრა. ფრანჩესკოს მოჰყვა საფრანგეთის წარმომადგენელი ოსმალეთის მთავრობასთან (ათინა ისევ ოსმალელებს ჩაუვარდა ხელში), რომელიც იმ დროს, როცა მის ქვეყანაში თავისუფლებისა, ძმობისა და ერთობის დროშა კრიალებდა, სულთანის სულწარსულობით სარგებლობდა და იპარავდა ბარელიეფების ნაჭრებს, რომლითაც სავსე იყო ყველა კარნიზები და ფრონტონი ტაძრისა[1]) მაგრამ ყველაზედ უფრო სულხამობა და მოხერხებულობა ამ ცარცვა-გლეჯაში გამოიჩინა **ლორდ ელგინმა**, ინგლისის ელჩმა. მან გამოსტყუა სულთანს ფირმანი. რომლის ძალითაც ნება ეძლეოდა: „წაეღო რამოდენიმე ქვის ლოდი ზედწარწერებითა და ფიგურებით". ამ ვაჟბატონმა 360000 მან. დახარჯა ამ საქმისათვის და შეუდგა სისტემატიურ ცარცვას პართენონისას და გადაზიდა ინგლისში ფასდაუდებელი ნაშთი ხელოვნებისა, ფიდიასისგან მარმარილოსაგან გამოკვეთილი... ერთმა ბერძენმა მითხრა: „წარმოიდგინეთ ლონდონში სინესტის გამო ეს მარმარილოს ნაკვეთები შავდება და ფუჭდებაო".

ერთად ერთი შესანდობარი საფრანგეთს ისა აქვს, რომ კაცობრიობის ცხოვრების ახალი ხანა შეჰქმნა, ხოლო ინგლისმა კი თავისი ავაზაკის ელჩის არამზადობა შეისყიდა დიდებულის მამულიშვილის სისხლით. ბაირონმა საბერძნეთის განთავისუფლებისათვის სიკვდილი იგემა...

ოჰ, მართლა. ვნახე ბაირონის ძეგლი აქ საუკეთესო ადგილზე სახალხო ბაღში... მაგრამ რა ძეგლი? საბერძნეთში სკულპტურის ედემში, ბაირონი რაღაც უცნაურ გძელ სერთუკში, რუსის სალდათის ჩექმებში... სამწუხარო სურათია. ბაირონი ჰერმესად უნდა იყოს გამოქანდაკებული. მისი მშვენიერი სახე ნამდვილი განხორციელება იქმნებოდა პრაქსიტელის იდეალისა.

ოჰ, რა კარგი იქნებოდა-ვუთხარ ჩემს ახლად გაცნობილ ბერძენს, რა საუცხოო იქნებოდა, რომ ბაირონის ძეგლად რომელიმე ჰერმესის სტატუა აგველოთ და აი აკროპოლის პართენონში დაგვედგათ. ეს იქნებოდა ერთის მხრივ საუკეთესო მადლობა რომლის გადახდაც ვალად გადევსთ ბერძენთ და მეორეს მხრით სამარადისო სახსოვარი მისა, რომ ბაირონი ერთგვარი უზადო მსხვერპლია და სასყიდელი ლორდ ელგინის ავაზაკურის მოქმედებისა...

ყოველიფერს მოვესწრებით, ბატონო! ჯერ მონობის უღელი ძლივს მოვიშორეთ კისრიდან. 50—60 წელი არც იმდენია ხალხის ცხოვრებაში რომ შესაძლო იყოს ყოველიფერი გაკეთდეს.

დიაღ, იმედია და დარწმუნებულიცა ვარ, როცა ძალა და უფლება ნამდვილ ხალხის ხელში იქმნება და არა ღიპ გადმოვარდნილ ოქროთი ავსებულ ტომრების ხელში მაშინ კვლავ განახლდება და აყვავდება საუფო მშვენიერებისა და ბედნიერებისა.

და არასდროს ჩემს ამ რწმენას ასეთი ღრმა სარწმუნოებრივი და აღტაცებული კილო არა ჰქონია.

ყოველივე ჩემმა ესთეტიურმა, პოლიტიკურმა და საზოგადოებრივმა აზრმა და გრძნობამ ხორცი შეისხა ამ მოგზაურობის დროს, ნათელით და ახალის ძალით შეიმოსა და მით უფრო ბედნიერება და სიხარული მომანიჭა...

მაგრამ ავსცილდი ჩემს საგანს.

(შემდეგი იქნება).

**კიტა აბაშიძე.**

*) იხ. „სახ. გაზ." № 710.

1) ჩვენ აქ არ შევუდგებით დაწვრილებით აღწერას ბერძნის ტაძრის არხიტექტურისას, მსურველს შეუძლია ეს ცნობები ამოიკითხოს ზ. ი. ზურაბიშვილის „გზა და გზა"-ში, რომელიც დასტამბულია „გრდემლში".

ლაქის სამმძრაო თავშესაფარის სადგომისათვის საძირკვლის ჩაყრას.

✦ ორშაბათს, 1 ოქტომბერს, საღამოს 8 საათზე ტფილისის სახალხო უნივერსიტეტის კამგეობის კრება მოხდება.

✦ ტფ. ქალაქის გამგეობამ ტფ. საბირჟო კომიტეტსა სთხოვა, 30 ოქტომბერს, გამოუგზავნოს სანოვაგის ფასების ბიულეტენი, რადგან ამ დღეს შესდგება ქალაქის სამეურნეო კომისიის სხდომა, რომელმაც ხორცისა და პურის ნიხრი უნდა შეიმუშაოს.

✦ **ექსკურსია** ტფ. ბუნების მოყვარულთა საზოგადოებისა, 4 სექტემბერს ღამის 12 საათზე და 10 წ. დავით გარეჯელის მონასტრის დასათვალიერებლად გაემგზავრა. ექსკურსანტები პირველ ოქტომბერს დაბრუნდებიან ტფილისში.

✦ ტფ. გუბერნატორმა ტფ. რაბბინს ნება დართო 15 ოქტომბერს, ძმ. ზუბალაშვილების სახალხო სახლში გამართოს საქველმოქმედო წარმოდგენა, რომლის შემოსავალიც ტფ. მცხოვრებ **ღარიბ ებრაელების სასარგებლოდ** გადაიდება.

✦ **სამართალში აძლევენ** ტფ. მოქალაქეს გიორგი ჩუპრინოვს, რომელმაც პოლიციელს ქრთამი შეაძლია.

✦ **სალიტერატურო საღამო.** ტფ. ჟურნალისტთა საზოგადოება 8 ოქტომბერს სახალხო სახლში სალიტერატურო საღამოს გამართავს.

✦ ტფ. გუბერნატორმა 5 მანეთით დააჯარიმა სახლის პატრონი ბეგლარ ვართანოვი, რომელმაც მღვმური'ს წასვლა არ აღნიშნა „ბინის წიგნში".

✦ უეცრივ გარდაიცვალნენ ვასილ ლაქტიონოვი და ეგნატე ვიქენტის-ძე დანილევინი.

✦ 28 სექტემბერს ტფილისში 61 უპასპორტო შეიპყრეს.

## საზოგადოებანი და კრებები

✦ **ტფ. გუბერნიის თავად-აზნაურთა ღარიბ მოწაფეთა დამხმარე საზოგადოების** წლიური კრების გაგრძელება მოხდება ორშაბათს, 1 ოქტომბერს, დილის 11 საათ., თავადაზნაურთა დეპუტატთა საკრებულოს დარბაზში.

## სასამართლო

✦ გუშინ გაზეთ „ზაკავკაზიეს" რედაქტორს ი. ი. რადიკეს ჩააბარეს საბრალმდებლო ოქმი. მას ბრალად ედება გაზეთ „ზაკავკაზიეს" 24 ივლისის ნომერში 140, ნ. ნ. დურნოვოს წერილის, „ამიერ კავკასიის ცრუ-პატრიოტები — მართლმადიდებელ ეკლესიის მტრები"-ს დასტამბვა, რაც აღნუსხულია სამართლ. კანონ. 1034 [3] მუხლ.

## სომეხთა ცხოვრება

✦ სომეხთა ეთნოგრაფიულ საზოგადოებოს საბჭოს ტფ. გუბერნატორმა ნება დართო 26 ნოემბრიდან 3 დეკემბრამდე გამართოს საიუბილეო გამოფენა სომხურ ბეჭდვითი საქმის შესახებ. გამოფენა გაიმართება სომხურ საქველმოქმედო საზოგადოების დარბაზში. იქვე წაიკითხავენ რეფერატებს.

✦ სრულიად სომეხთა კათოლიკოსის შუამდგომლობის მიხედვით, კავკასიის ნამესტნიკმა ნება დართო კავკასიაში ერთი წლის განმავლობაში მოახდინონ მსურველთაგან ფულის შეგროვება სომხის სამრევლო სკოლების სასარგებლოდ. ეს ფული გროვდება სომხის ბეჭდვითი საქმისა 400 წლის და სომხურ ანბანის 1500 წლის იუბილეს აღსანიშნავად.

## ქუთაისი

✦ ნამესტნიკის კანცელარიის მოწერილობის გამო, ქუთაისის გუბერნატორი წინადადებას აძლევს ქალაქის გამგეობას წარუდგინოს მას, რაც შეიძლება, მალე, შემდეგი დაწვრილებითი ცნობები: ა) რა ღვაწლი მიუძღვის საზოგადოების წინაშე განსვენებულს იაკობ გოგებაშვილს, რომლის ხსოვნის პატივსაცემლად ქალაქის საბჭომ დაადგინა, რომ გენერლის ქუჩას გოგებაშვილის ქუჩა დაერქვას; ბ) რა ღვაწლი მიუძღვის ქალაქ ქუთაისის წინაშე განსვენებულს დავით სარაჯიშვილის, რომლის ხსოვნის პატივსაცემლად ქალაქის საბჭოს დადგენილებით პოლიციის ქუჩას სარაჯიშვილის ქუჩა უნდა ეწოდოს, გ) რა ღვაწლი მიუძღვის საზოგადოების წინაშე განსვენებულს მამია გურიელს, რომლის ხსოვნის პატივსაცემლად საბჭოს დადგენილებით ეგრედ წოდებულ „კარლოსის დაღმართს" უნდა დაერქვას გურიელის ქუჩა; ამასთანავე აცნობოს, თუ ვისი პატივსაცემლად უწოდებიათ ხსენებული დაღმართისათვის ეს სახელი.

✦ ქალაქის **საბჭოს მორიგი სხდომა**, რომელიც 2 ოქტომბერს უნდა მომხდარიყო, სხვა დროსათვის გადიდვა.

✦ ქუთაისის სახალხო სკოლების დირექცია არ ამტკიცებს ჭიათურის საქალაქო სასწავლებლისათვის წარდგენილ მასწავლებლებს. ამ ჟამად ხსენებულ სასწავლებელს ჯერაც არა ჰყავს არც ინსპექტორი და არც მასწავლებელთა საჭირო რიცხვი.

✦ ქუთ. ქალ. მოურავი ი. მ. ჩიქოვანი ჩამოვიდა ტფილისიდან, სადაც ქალაქის საქმეების გამო იყო.

✦ **შავი-ქვის მრეწველთა საბჭომ** უკვე წარუდგინა სამთო გამგეობა 1913 წ. ხარჯთ-აღრიცხვის წინასწარი გეგმა. აუცილებელი ხარჯი ნავარაუდევია—351,136 მან. 4 აბაზი, ერთდროული 123,336 მ. და 20 კაპ. სულ—474,500 მანეთი. („იმერეთი").

## თელავი

✦ საფილოქსერო პარტიამ უფროს ინსტრუქტორის ნ. კ. მაკარაშვილის ხელმძღვანელობით კიდევ 6 ვენახში აღმოაჩინა ფილოქსერა 4 დესეტინის სივრცეზე. ბ-ნ მაკარაშვილს ერთ ვაზზე ფრთიანი ფილოქსერაც აღმოუჩენია.

„სახ. გაზ." № 770 მოთავსებული ცნობა ვითომ ამ საფილოქსერო პარტიას ხელმძღვანელობდეს სოსო ედილაშვილი სიმართლეს მოკლებულია, იგი ისეთივე მომუშავეა, როგორც დანარჩენი საფ. პარტიის წევრები რიცხვით 18 კაცი, რომელთაც ხელმძღვანელობს ბ-ნი მაკარაშვილი.

## სოფლად

✦ **დუშეთის მაზრა.** სამი გზირი მუხრანიდან მცხეთას ბრუნდებოდა. სოფ. ჩარდახში შეუხვიეს, ერთი მათგანი კი დათა დოლოტაშვილი კოკაშვილის სახლში იყო. სოფ. ჩარდახიდან ისინი წამოვიდნენ ღამის პირველ საათზე და ადგილ ნარეკვავთან ჩასაფრებულ ყაჩაღებს შეეხეჩნენ. გზირების გამოხმაურებაზე ყაჩაღებმა თოფები ესროლეს და ოთხი ტყვიით მოჰკლეს გზირი ბოგოლაშვილი. ორი მისი ამხანაგი გაიქცა. ცხენი გზირისა მოჰკლეს და ბერდანკა წაიღეს. მათ აღმოსაჩენად ენერგიული ზომებია მიღებული.

### შეცდომის გასწორება.

1. „დედა-ენის" ოცდა მეშვიდე გამოცემა ახლა კი არ გამოსულა, როგორც ჩვენს გაზეთის ახალ ამბავში იყო შეცდომით მოხსენებული, არამედ ამ ენკენისთვის პირველ რიცხვებში.

2. წ. კ. საზოგადოების მაღაზიამ მიიღო გასასყიდად დეკანოზის კორნელი კეკელიძის „ძველებური ქართული არხიერატიკონი", და არა მღვდლის კორ. ს. კერესელიძის „ძველებური ქართული არხისტრატიკონი".

## დეპეშა

### ქუთაისი.

(საკუთ. კორესპონდენტისაგან).

მემამულეთაგან ამომრჩევლად აირჩიეს დავით ნიჟარაძე და ვარლამ მიქელაძე. ვლადიმერ მიქელაძე გაშავდა ცამეტის ხმის უმრავლესობით, წინააღმდეგ ცხრისა. დანიშნულია დამატებითი არჩევნები.

**ზუგდიდი.** ამორჩეულია 5 ამომრჩეველი, ამათში 4 კიტა აბაშიძის მომხრე.

**ქუთაისი.** უკანასკნელ არჩევნების დროს, მიქელაძის ძმამ ვლადიმერმა კენჭის საყრელ მაგიდის საფარი ჩამოგლიჯა. უმეტესმა ნაწილმა თავი მიანება კრებას. თავმჯდომარემ კრება დახურა და ოქმია შედგენილი. არჩევნები შეჩერებულია.

**ლეჩხუმის** მაზრაში ამორჩეულია თ. ვარლამ გელოვანი და თ-დი ოთარ დადეშქელიანი.

## არჩევნებში ჩვენში

**ზესტაფონი.** 26 სექტემბერს დაბა ზესტაფონში მოხდა მსხვილ და წვრილ მემამულეთა რწმუნებულების არჩევნები. აირჩიეს პეტრე ალექ. ძე წერეთელი, (64 თეთრი—3 შავი) იოს. გუნცაძე (64 თეთრ. 3 შავი), ალ. აბაშიძე (60 თეთრ. 7 შავი) და ილია ზურაბის ძე აბაშიძე, (60 თეთრ. 7 შავი) ყველა კიტა აბაშიძის მომხრეა. გლეხთა კურიიდან აირჩიეს: არჩ. არაბიძე და ფხალაძე.

**ქ. თელავი.** 26 სექტემბერს მოხდა თელავის მაზრის საგლეხო კურიის წარმომადგენელთა არჩევნები ერთი რწმუნებულის ასარჩევად. 20 წარმომადგენლიდან გამოცხადდა 14 კაცი. თავმჯდომარემ მოკლე სიტყვით განუმარტა არჩევნების მნიშვნელობა და წინადადება მისცა კარგა მოეფიქრათ, მოელაპარაკნათ ერთმანეთში და ისე აერჩიათ. გლეხთა რწმუნებულთ მოლაპარაკების შემდეგ დაასახელეს შილდელი გლეხი **ილია ომანის ძე ხინჩიკაშვილი,** რომელიც ერთხმივ ამოირჩიეს რწმუნებულად. მსხვილ მესაკუთრეთა არჩევნები დანიშნულია 30 სექტემბერს, ქალაქისა კი 3 ოქტომბერს.

## ბალკანეთის ომის გამო



საომარი ასპარეზი.

# ბალკანეთის ომი

### დეპეშები.

29 ენკენისთვე.

**პეტერბურგი.** „წითელი ჯვარი" ჩერნოგორიაში გასაგზავნად ამზადებს ორ რაზმს, თითოს 50 საწოლი აქვს, ჰყავს ორი ექიმი, ექვსი საოპერაციო და ცხრა სანიტარი. ერთი რაზმი ხარკოვიდან იგზავნება, ერთი პეტერბურგიდან. ოსმალეთთან და ჩერნოგორიასთან ცნობების მიწოდება ანტივარზე, სკუტარზე, პოდგორიცაზე, თუზზე და ბერნზე შეწყვეტილია.

### შიპჩანიკის აღება.

**პოდგორიცა.** 27 ენკენისთვეს ჩერნოგორელები რამდენჯერმე მივიდნენ იერიშით შიპჩანიკის პოზიციაზე, რომელიც ოსმალოს ჯარს ეჭირა. ჩერნოგორელებმა ეს ძლიერი სიმაგრე აიღეს. ორივე მხარე საშინელი თავგანწირულებით იბრძოდა. დეჩიჩის და შიპჩანიკის აღებით ჩერნოგორელებმა სკუტარში გზა გაიკვლიეს. მეფემ მიიღო პოდგორიცში დეჩიჩის კომენდანტი.

### მობილიზაციის დასრულება.

**სტამბოლი.** არტილერიის და სასანიტარო რაზმების მობილიზაცია დასრულდა. სათადარიგო ჯარის კაცების მობილიზაცია სწარმოებს. მაკედონიაში 250,000 ჯარისკაცია, ამას 8000 სათადარიგო ჯარის კაცი მიემატება. საბერძნეთის საწინააღმდეგო ჯარის უფროსად დანიშნულია ყოფილი მინისტრი მაჰმუდ-შევკეტ-ფაშა. საპატრიარქო საბჭომ მადლობა გამოუცხადა პორტას რეფორმების აღთქმისთვის. ამასთანავე სთხოვს, დღევანდელ პირობების მიხედვით შეასწოროს 1880 წლის კანონი.

### ავსტრიის დელეგაცია.

**ვენა.** დამატებითი კრედიტების კანონპროექტი ითხოვს 81,6 მილიონი კრონი, ამათში ავსტრიის წილი 62 მილიონია, ჰუნგრეთის—22,6 მილიონი კრონი. ამაში 41,6 მილიონი კრონი სამხედრო მასალის შესაძენად უნდათ, 13 მილიონი ორი დუნაის მონიტორის შესაძენად და საზოგადოდ სამხედრო ფლოტის გასაძლიერებლად. 125 მილიონი საფორტიფიკაციო მუშაობის დასაწყებად საზღვრებზე. საფინანსო მინისტრი მხარს უჭერს კანონპროექტს და აღნიშნავს, რომ ეს ფული სამობილიზაციოდ მიზანს არ ემსახურება-მაინც ბალკანეთის ამბები მოგვიწოდებენ სამხედრო ძალის გაძლიერებისკენო. დღეს, როცა მეზობელ ბალკანეთში ომის ცეცხლი აპრიალდება, სთქვა მინისტრმა, უნდა ვიყუნეთ მზად ჩვენი ქვეყნის ინტერესების დასაცველადო. ამისთანავე განცხადება შეიტანა გარეშე საქმეთა მინისტრმა ჰუნგრეთის დელეგაციაში.

### მაკედონიის ოსმალონი.

**სოფია.** აქაურ ცნობებით მაკედონიაში მცხოვრები ოსმალონი თანაგრძნობით ეკიდებიან ბულგარებს. მათ უარი განაცხადეს ოსმალეთის ჯარში ბრძოლისა და სურვილი გამოსთქვეს მაკედონიის რეფორმებისა.

**სტამბოლი.** გამოაქვეყნეს ორი დროებითი კანონი: სამხედრო ხალხის პოლიტიკაში ჩარევის აკრძალვა და საარჩევნო ხმის უფლების წართმევა სამხედრო და სამოქალაქო მოხელეებისთვის.

**ვენა.** ფინანსთა მინისტრმა უპასუხა სოციალისტს ელენ ბოგენს, მთავრობა მიუხედავად არა ჩვეულებრივი კრედიტის კანონპროექტის შეტანისა, მაინც მშვიდობიანობის პოლიტიკას ადგაო. როცა სახელმწიფო რაიმე ძალას წარმოადგენს, მაშინ უფრო მოწიწებით უსმენენ მასო. ეს მზადება მხოლოდ ამ მიზნისკენ არის მიმართულიო.

**ათინა.** მეფის თავმჯდომარეობით მინისტრთა საბჭოს კრებაა.

### ჩერნოგორელების გამარჯვება.

**პოდგორიცა.** გუშინ ჩერნოგორელებმა აიღეს პლანიტიცა. 24 საათის სროლის შემდეგ აიღეს აგრეთვე დეჩიჩი. დანაკლისი ორივე მხარეს საგრძნობელია. ჩერნოგორელებმა ოთხი ზარბაზანი წაართვეს. მემკვიდრე დანილოს ერთ წუთსაც არ დაუტოვებია ბრძოლის ველი. სამხრეთის ჯარი სამხედრო მინისტრის მარტინოვიჩის უფროსობით ბლოკჰაზი აიღეს სკუტარის მახლობლად.

**ლონდონი.** რეიტერს ატყობინებენ პოდგორიციდან დილა ადრიან ჩერნოგორელებმი სროლა აუტეხეს გამაგრებულ პოზიციას დეჩიჩს. ოსმალები მიუყუჩდნენ. 4 საათსა 50 წუთს დეჩიჩი დაჰნებდა. კომენდანტი და ოფიცრებიც დაჰნებდნენ. ჩერნოგორიის ბანაკში დიდი აღტაცებაა გამარჯვების გამო.

**სტამბოლი.** რუსეთის მთავრობის დაჟინებულის მოთხოვნით, აქაურმა მთავრობამ განთავისუფლა საბერძნეთის გემი. როგორც ოსმალეთის სააგენტო იუწყება, ხუთ სახელმწიფოთა ნოტას მიუღია მხედველობაში პორტის სურვილი რეფორმების განხორციელებისა. პორტის მონაწილეობით სახელმწიფონი იქონიებენ მსჯელობას რეფორმების თაობაზე 1880 წლის კანონის მიხედვით.

### გაზეთებიდან.

**პორტის ნოტა დიდ სახელმწიფოთა მიმართ.**

ოსმალეთის წარმომადგენლებმა დიდ სახელმწიფოთ გადასცეს მიმართვა პორტისა. მიმართვის შინაარსი შემდეგია.

„ოსმალეთის ელჩები ბელგრადში, სოფიაში და ათინაში, გვატყობინებდნენ ჩვენ, რომ ამ სახელმწიფოებში მობილიზაცია გამოცხადებულია, იღებენ ისეთ ზომებს, რომელთაც აგრესიული ხასიათი აქვთო. ეს ამბები ყველა სახელმწიფოებში ერთ დროს ჰხდება, რაც მათ შეთანხმებულ მოქმედებას ამტკიცებს. პორტა მუდამ მშვიდობის მოყვარულ პოლიტიკას ედგა, და თავის მხრივ არ აძლევდა ბალკანეთის სახელმწიფოებს მიზეზს ოსმალეთის წინააღმდეგ მოქმედებისას. ბულგარეთიდან მოსული ცნობები გვაიძულებენ ჩვენც მივმართოდ თადარიგს და უბედურება თავიდან ავიცილოთო. მთავრობას სხვანაირად არ შეეძლო დაეშოშმინებინა აღელვებული მცხოვრებნი, თუ არ საპასუხო სამზადისით ბალკანეთის წინააღმდეგ. რაც შეეხება ოსმალეთის აღლუმს, რომლის მნიშვნელობაც ბალკანეთმა განგებ დაამახინჯა, იმას ჰქონდა მიზანი ჯარის გაწრთვნისა და ვარჯიშობისა. ერთად-ერთი მიზეზი ბალკანეთის სამხედრო მომზადებისა, სუყველა მათი განსაკუთრებული მისწრაფების დაკმაყოფილებისა. მიჰმართავს რა ოსმალეთი დიდ სახელმწიფოებს, სთხოვს განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს საქმის ვითარებას და იმასაც, რომ ოსმალეთი თავისუფალ მოქმედების უფლებას იტოვებს".

ერთი გავლენიანი ბულგარეთის მმართველი ებაასა „ნეი-ფრეი-პრესეს" კორესპონდენტს. „კარგად ვიცით, სთქვა მობაასემ, რომ ვენასა და პეტერბურგს შორის მოლაპარაკება სწარმოებსო. მაშინ, როცა ავსტრია და რუსეთი შეთანხმდებიან ომი შეიძლება თავიდან ავიცილოთო". გენერალი ნიკიფოროვი ამ აზრისაა, ბალკანეთის ბედი ბალკანეთში კი არ გადასწყდება, არამედ ვენაში და პეტერბურგშიო. ჩვენი ჯარი უკვე ომისთვის გამზადებულიაო.

სოფიაში ომში მონაწილეობის მსურველნი დღითი-დღე ემატებიან; ამერიკიდან და სხვა მხარეებიდან მოდიან ბულგარელი სტუდენტები. ყველა პროვინციაში ცალკე კომიტეტები მუშაობენ ომის მსურველთა ჩასაწერად. ეწერებიან ათასობით.

### ბულგარეთის იმედები.

ომის საქმე გადაწყვეტილია. ბრძოლას ვერავითარი ძალა ვერ შეაჩერებს მობილიზაცია დასრულდება თუ არა ბულგარეთი მიჰმართავს მოქმედებას. ბულგარელებს იმედი აქვთ ომი მალე დასრულდეს. ორი შებრძოლება სრულიად. საკმარისად მიაჩნიათ ბედის გადასაწყვეტად. ადრიანოპოლის დაჭერა გამოიწვევს ევროპის ჩარევას. ევროპის ჩარევა ბულგარეთს ერთი პირობით მიაჩნია შესაძლებლად, თუ ევროპა კონფერენციაზე გადასწყვეტს მიეცეს ბალკანეთის სახელმწიფოებს სრული ავტონომია, და აგრეთვე კონფერენციის მოქმედებაში მონაწილეობას იღებდნენ ბულგარეთის, საბერძნების, სერბიის და ჩერნოგორიის წარმომადგენლები.

### ოსმალეთის ჯარის სულით დაცემა.

როგორც სოფიაში ხმები გავრცელებულა, ოსმალეთის ჯარი სულით დაცემულია. არც საკვები, არც საცმელი ხეირიანი არ აქვს ჯარსო. ხშირი შემთხვევა ყოფილა თურმე. რომ ოსმალეთის ოფიცრები სიამოვნებით მიჰყვებიან ტყვედ ბულგარელებს.

სრული დემორალიზაცია—აი სურათი ოსმალეთის ჯარისა.

საზოგადოდ ბულგარელებს ღრმად სწამთ ოსმალეთის დამარცხება.

„ბერლინერ-ტაგებლატი" სწერს: „ნიღაბი ჩამოეცალა. ეხლა მთელ ქვეყნიერებისთვის ნათელია რუსეთის და ავსტრიის ანტაგონიზმი. იზვოლსკის გადაყენება და ერენტალის სიკვდილი მშვიდობიან განწყობილებას მოასწავებდა, მაგრამ... შეცდომაში შევედით!"

### ქრისტიანებს დარბევა მოელის.

სტამბოლში ბრბო ქრისტიანების წინააღმდეგ ისეა აღელვებული, რომ ქრისტიანი მცხოვრებნი ხოცვა-ჟლეტას მოელიან. მდგომარეობა ჯოჯოხეთურია. არსაიდან ხსნა, არსაიდან შველა! მოწყვეტილი მთელ ქვეყნიერებას, სტამბოლელი ქრისტიანენი იმედის ლანდს მოსჭიდებიან. რუსეთისაგან მოელიან შველას. „რუსკოე სლოვოს" კორესპონდენტი იწერება: ჩვენ არ შეგვიძლიან გულგრილად უყუროთ შეუგნებელ ბრბოს თარეშს. ქრისტიანენი შველას თხოულობენ ხსნას მოელიან ევროპისაგან. ევროპამ უნდა ხელი გაუწოდოს წამებულთ! არ შეიძლება მეოცე საუკუნეში განმეორდეს საშუალო საუკუნის საშინელება — ბართოლემის ღამე.

## დეპეშები

(დეპეშათა პეტერბ. სააგენტო)

29 ენკენისთვე.

### საზღვარ-გარეთ

**ნობელის პრემია.**

**სტოკჰოლმი.** 1912 წლის ნობელის პრემია. 195,000 ფრანკი ერგო როკფელერის ინსტიტუტის წევრს ექსპერიმენტალურ ქირურგიის ექიმს ალექსანდრე კარელს.

**ლონდონი..** საზოგადო პალატაში პრემიერ მინისტრმა ასკვიტმა განაცხადა, რომ ჰომრულის თაობაზე კამათი უნდა დასრულდეს 34 დღის განმავლობაშიო.

### რუსეთი

**არჩევნებზე.**

**პეტერბურგი.** მეორე ხარისხის არჩევნების ცნობები. არხანგელის გუბ. 46 ამომრჩეველში აირჩიეს 32:15 მემარჯვენე, 1 მონარქისტი 5 ოქტომბრისტი, 2 პროგრესისტი, 10 კადეტი. 1 უპარტიო. ბესარაბიის გუბ 115—21: 18 ბესარაბის ცენტრის პარტიის წევრი, 3 ნაციონალისტი; ვილნას გუბ. 76—4: ყველა უპარტიო. ვიტებსკის გუბ. 106—26: 9 მემარ. 3 რუსის ნაციონ. 1 პოლონ. ნაციონ., 1 პოლონ. კოლოს წევრი, 2 პროგრ., 4 კად., 2 მემარც., 4 უპარტიო. ვლადიმირის გუბ. 82—20: 4 მონარ., 14 მემარ., 2 ოქტომბრისტი. ვოლოგდის გუბ. 75—1 მემარჯვნე. ვიატსკის გუბ. 109—23: 3 მონარქ. 9 მემარჯვნე, 3 ზომიერი. 2 ოქტომბრისტი, 2 პროგრ. 4 უპარ. გროდნოს გუბ. 107—44: 3 რუსი ხალხის კავშირის წევრი, 21 მემარ., 3 მონარქ., 3 ნაციონ., 1 მემარც., 13 უპარ. ეკატერინოსლავის გუბ. 104—13: 4 მემარჯ., 1 ზომიერი, 1 ოქტომბრისტი, 1 პროგრესისტი, 4 კადეტი 1 ესდეკი, 1 უპარტიო. კალუგის გუბ.; 77—61: 7 მონარქ., 15 მემარ., 2 ნაციონ., 8 ოქტომბრისტი, 2 ზომიერი, 9 პროგრეს., 15 კად., 3 მემარც.; კიევის გუბ.; 150—77: 47 მემარჯ., 3 მონარქ., 27 ნაციონალისტი, 1 ოქტომბრისტი. კოვნოს გუბ.; 75—23: 1 მემარჯ., 6 ლიტ. ნაციონ., 6 მემარც., 10 უპარ.; კურლიანდიის გუბ.; 62 13: 3 მემ., 1 ოქტომბ., 1 პროგ., 4 მემარც., 4 უპარტიო; კურსკის გუბ.; 137—52: 24 მონარქ., 27 მემარჯ., 2 პროგრესისტი. ლიფლიანდიის გუბ.; 78—58: 14 მემარჯ., 10 ბალ. კონსტიტ. პარტიის წევრი, 5 ზომიერი, 16 ოქტომ., 6 კადეტი, 2 უპარტიო, 1 უკიდ. მემარც.; მინსკის გუბ. 137—10: 1 ნაციონ., 3 პროგრ., 2 კადეტი, 3 მემარც.; მოგილევის გუბ. 125—81: 53 მემარჯ., 10 ნაციონალ., 1 ოქტომ., 1 პოლ. ნაციონ., 9 უპარტიო; მოსკოვის გუბ. 94—58: 42 მემარჯ., 2 ოქტომბრისტი, 11 კადეტი, 1 მემარცხენე; ნიჟეგოროდის გუბ. 100—37: 32 მემარჯ., 1 ნაციონ., 1 ოქტომბრისტი, 1 ზომიერი, 1 კადეტი, 1 უპარტიო; ნოვგოროდის გუბ. 98—16: 8 მემარჯვენე, 4 უპარტიო; ორენბურგის გუბ. 66—9: 2 მემარჯ., 3 კადეტი, 1 ტრუდოვიკი, 1 სოც.-დემ., 2 უპარტიო; ორლოვის გუბ. 113—38: 15 მემარჯ., 2 ზომიერი მემარჯ., 5 ოქტომბრისტი, 5 პროგრ., 4 კადეტი, 1 მემარცხენე, 5 უპარტიო, 1 გამოურკვეველი; რიაზანის გუბ. 104—1: მემარცხ.; სამარის გუბ. 131—24: 17 მემარჯ., 6 მემარცხ., 1 სოციალ.-დემოკ.; პეტერბურგის გუბ. 70—14: 10 ოქტომბრ., 3 მონარ., 1 მემარცხ; სარატოვის გუბ. 127—26: 1 უკიდ. მემარჯ., 15 მემარჯ., 9 მემარც., 1 უპარტიო. სმოლენსკის გუბ. 95—11: 4 მემარჯ., 1 ოქტომბ., 3 კადეტი, 3 პროგრ.; ტავრიდის გუბ. 86—2 კადეტი. ტამბოვის გუბ. 125—42: 4 უკ. მემარჯ., 1 ნაციონალისტი, 2 ოქტომბრისტი, 7 კადეტი, 4 უპარტიო, 1 მემარც.; ტვერის გუბ. 106—12: 3 მემარჯ., 1 ზომიერი, 7 ოქტომბ., 1 პროგრესისტი, 1 დემოკ. რეფორმ. პარტიის წევრი, 5 კად., 1 მემარც.; ტულის გუბ. 92—18: 12 მემარჯვენე, 2 მემარცხენე, 1 სოც.-დემ., 3 უპარტიო; უფის გუბ. 110—12: 3 მემარჯ., 1 პროგრ., 2 მუსულმ. პარ., 3 კადეტი, 2 მემარც., 1 ესდეკი; ხარკოვის გუბ. 134—9: 7 მემარჯ., 2 უპარტიო; ხერსონის გუბ. 123—4: 3 კადეტი, 1 სოც.-დემოკ.; ჩერნომორის გუბ. და ყუბანის ოლქში 100—3: 1 სოც.-დემოკ., 1 კადეტი, 1 უპარტიო; ტფილისის გუბ. 55—6: 3 მემარჯ., 2 მონარქისტი 1 პროგრ.; ელისავეტპოლის გუბ. 36—19; 13 მემარჯ., 6 უპარტიო; ყარსის ოლქში 13 1 უპარტიო; თერგის ოლქში 49—19. 9 მონარქისტი, ოთხი მემარჯ., 1 ოქტომ., 4 პროგრ., 1 მემარც.; კალიშის გუბ. 60—17 ყველა პოლონელი. კელეცის გუბ. 60—28. 8 რეალურ პოლიტიკის წევრი, 11 ნაროდ. დემოკრ., 9 უპარტიო. ლომჟინის გუბ. 40—13: 8 უპარტიო, 2 ნაროდოვცევი, 3 პროგრ.; პლოცკის გუბ. 40—19: 16 ნაროდოვცევი, 1 პოლონ. კოლოს წევრი, 1 მემარცხნე, 1 უპარტიო; სედლეცის გუბ. 61 ამომრჩეველში აირჩიეს 1 მემარჯვნე.

## თეატრი და ხელოვნება

**სახაზინო თეატრში** დღეს ივ. პ. ფალიაშვილის ხელმძღვანელობით გაიმართება ორი საოპერო წარმოდგენა: დილით დასდგავენ **„დემონს"** საღამოთი—**„პიკოვაია დამა"-ს.** ხვალ, 1 ოქტომბერს, დასდგამენ **„ტრავიატას"** და საბალეტო დივერტისმენტს.

**რედაქტორ-გამომცემელი Ნ. ᲙᲣᲠᲓᲦᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ.**


## განცხადებანი

### სამშობიარო თავშესაფარი თუხარელისა,

გოლოვინის პროსპექტისა და გრიბოედოვის ქუჩის კიშში, № 34, ფეოდოსიის ეკლესიის გასწვრივ. იღებენ ფეხმძიმე და მშობიარე ქალებს დღე და ღამ ყოველ დროს. ცალკე სტომრებიც არის ხელმისაწვდომ ფასებში და საზოგადოც. ორ-საწოლიანი ოთახი 2 მან. და მომშობიარებისათვის 6 მან. არის საზოგადო ოთახში ხელმისაწვდომ ფასში, დღე-ღამე 1 იან. იღებენ დედათა ავადმყოფობით სნეულთა და საბებიოს საქმისათვის. ძიძებსა და ძოახლეებს ყოველ დღე, დილის 1—12 ს. (ძღვ) მოწმებს. თავშესაფარის გამგე ექიმი მ. მ. მიკირტუმოვი. 1037.

# სამკურნალო
ექიმთა საზოგადოებისა
მუდმივის საწოლებით.
## გადავიდა ახალ ბინაზე
მიხეილის ქუჩა, № 49 და რეუტოვის მისახვევი № 2. ტელეფონი № 1026.

**ავადმყოფებს იღებენ:**

**ალაჯალოვი მიხ.**—საშარდე ორგანოთა, ათაშანგისა და კანის სნეულებისა—ნაშუად. 12—1 ს.

**ვნუკოვი მ. პ.**—ქირურგიულ სნეულ. ნაშუად. 1—2 საათამდე.

**ეგიაზაროვი ი. ნ.**—შინაგან, ნევრვებისა სულით-ავადმყ. ელექტროტერაპტია დილ. 11—12 საათამდე.

**კიმონტი გ. პ.**—ქირურგიულ სნეულ. დილის 11—12 საათამდე.

**მაგაკიანი გ. ნ.**—შინაგან სნეულებ. და ბავშვების ავადმყ. დილ. 11½—12½ სათ.

**შამაში ი. ი.**—ქირურგიულ ავადმყ. 12—1 საათამდე.

**ავილოვისა ა. ა.**—კბილის ავადმყ. 9½—11½ საათ.

სამკურნალოში სწამლობენ ელექტრონითა და მასაჟით. ახდენენ გამოკვლევას მიკროსკოპიულ, ბაქტერიოლოგიურსა და ქიმიურს. ყვავილს უცრიან. ძიძებს ამოწმებენ. რჩევის ფასი ათი შაური. ოპერაციები და კონსულტაცია მორიგებით.

სამკურნალოს სტაციონალური განყოფილება შესდგება საზოგადო პალატისა და ცალკე ნომრებისაგან.

**წამლობა „606“-ით და 914.** 1513



# ფეხსაცმელები
თომა დ. ჯანყარაშვილის
**მაღაზია-სახელოსნოში.**

მუხრანის ქ. № 2.



ყოველ ნაირი: საკუთარი და პეტერბ. მეხანიკური ნაწარმოები. 683.



# ექიმ ნავასარდიანის
## პირველი კერძო სამკურნალო
დაარსებულია 1880 წელს.
(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).
**ავადმყოფების მიღება ყოველ დღე გარდა კვირისა.**

**დ ი ლ ი თ:**

**„606“ — 11—12 ს. შეზხაპუნება კონსულტატიურად.**

**ბ. ა. ნავასარდიანი:** 11—12 ს. ქირურგიული, და ვენერიული (სიფილ.) ავად.

**ზ. გ. აგახაროვი:** 1—2 ს. შინაგანი ბავშვთა ავადმყ.

**კ. მ. ჩიქოვანი:** 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანახოვი:** 10—11 ს. საბებიო. ქალებისა და ბავშვებისა,

**ნ. ტ. მულოვი:** 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

**მ. გ. ბვეტისიანცი:** 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.

**გ. ი. გურგენოვი:** 12—1 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

**ა. პ. კარაპეტიანცი:** 12—1 ს. შინ. კანი საბავშვო და ყვავილის აცრა.

ექიმი ქალი **ე. ნ. ამბრუმოვა-მელ ქიანი** 1—2 ს. საბებიო და ქალების ავადმ.

**ს ა ღ ა მ ო თ ი:**

**მ. გ. ბვეტისიანცი:** 6—7 საათ.

რჩევა-დარიგება 50 კაპ. ხელმოკლეთა ვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.

სამკურნალოს დირექტორი მედიცინის
1078 დოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი.**



**წ ი გ ნ ი ს მ ა ღ ა ზ ი ა**
# ზ. პ. გრიქუროვისა.
ისყიდება ჩვენი გამოცემანი.

**იოსელიანის,** ლოცვ. ქართ. და რუს გამოცემა მეხუთე 1912 წ—20 კ.

„ საღმრთო ისტ. ძვ. და ახ. აღთქმა გამ. მეშვიდე 1912 წ.—40 კ,

**ქუთათელაძე,** „წყარო“, ანბანი და პირველი საკითხავი წიგ. 25 კ.,„წყარო“ წ. II 50 კ.

„ „ ქართული გრამატიკა 40 კ.

„ „ საზოგადო გეოგრაფია ნაწ. 1 30 კ,

**გოგებაშვილის,** ქარტა კავკასიის აქეთი მხარე—60 კ, Русское слово часть 2-я 50 к.

Кикнадзе, учебникъ географіи Кавказскаго края 30 к. იქვე ისყიდება სკოლებში სახმარებელი სახელმძღვანელოები ქართ. რუს. და სხ. ენებზე. მისამართი ფოსტით: Тифлисъ, Кавказская книжная торговля „З. П. Грикурова“, С. И. Грикуровой, 688.



**პეტერბურგის კონსერვატორიაში** სწავლა-დამთავრებული, თავისუფალი ხელოვანი
# ე. გ. ქიქოძისა
## აძლევს მუსიკის (როიალი) გაკვეთილებს.
სვიატოპოლკ-მირსკის ქუჩა, № 11.
651.



# ქართულ ენაზე
## ჭრა-კერვის წიგნი
თვით-მასწავლებელი 128 ნახატით, ახალი მეთოდი. ექვსი ნაწილი: ქართული, იმერული, ევროპიული, თეთრეული მანდილოსანთ და ბავშვთათვის. ჟურნალების მიხმარება შედგენილი და გამოც. **სოფიო ი. სიმონოვის მიერ.** ყდით 3 მ., გაგზავნით 3 მან. 50 კ. ვინც ათზე მეტს იყიდის ფოსტის გასაგზავნი არ გადახდება. წიგნის გამოწერა შეიძლება ფასდადებითაც.

მისამართი; Телавъ, школа кройки и шитья Соф. Іос. Симоновой. Бульварны пер., 2, соб. д. 1231



**ავადმყოფებს და სუსტებს**
# ☛ „სპერმატინი“ ☚
დამზადებულია ი. ნ. ივანოვის ლაბორატორიაში, ექიმებისა და ფარმაცევტების მეთვალყურეობით. **„სპერმატინის“** გამოგონება ეკუთვნის დიდებულ ფრანგ პროფესორს ექიმ **ბროუნ-სეკარს.** მან, 76 წლისამ თავის თავზე გამოსცადა ამ წამლის გადამხალისებელი და ჯანის გამმაგრებელი გავლენა.

მას მერე მკურნალებმა დაადასტურეს, რომ **„სპერმატინი“** უებარი წამალია: მოხუცებულების სისუსტისა, სისხლნაკლებისა მძიმე ავადმყოფობისა, ნერვებ აშლილისა, გონებისა და სხეულის მოქანცულობის, სქესებრ. მოჭარბებისა, ჯანის გატეხისა, დამპალ ციებისა, ძარღვების მოდუნებისა, ხერხემლ. ტვინის გახმობისა, სიდამბლისა, კაცობიდან ჩამოვარდნის, წყალმანკისა, გულისფრიალისა შაქრის ავადმყოფობისა, ქარებისა, ათაშანგისა, ღლოთობისა, ყაბზობისა, ჭლექისა, ვარდის წყლით წამლობის შედეგისა და სხვ.

1 შუშა ღირს 2 მ. 40 კ. ტაბლეტ—2 მ. 75 კ. ფასდადებითაც შეიძლება დაბარება. აფთიაქებს და სააფთ. საწყ.—ფას-დაკლებით. გასაგზავნს დამბარებელი იხდის. იყიდება კავკასიაში მთავარ წარმომადგენელთან—**ი. ახობაძე და ამხ“.** ტფილისი, ლორისმელიქოვის ქუჩა, სახლი № 6, ეზოში. 661

**შინაგ. საქმ. სამინისტ. ნებადარ. (1907 წ. № 9696)**



ტფილისის ქალაქის
# გამგეობა
ამით აცხადებს, რომ **ოქტომბრის სამში** 1912 წ., შუადღის 12 საათზე ქალაქის გამგეობის დარბაზში დანიშნულია
## საჯარო ვაჭრობა
ქალაქის საყასბოზე დაკლულ საქონლისა და ღორის
## დაწუნებულ ქონის გასასყიდად.
ცნობების გასაგებად უნდა მიჰმართონ ქალაქის გამგეობის მე-3 განყოფილებას. 1537.



**გამოსულია და იყიდება**
# არჩილ ჯორჯაძის
## თხზულებანი:

| | | | |
|---|---|---|---|
| I ტ | „ეროვნულ პრობლემის გარშემო“ | ფასი | 75 კ. |
| II „ | „ჩვენი საზოგადოებრივობა | | 80 კ. |
| III „ | „ნააზრევი“ | | 65 კ. |
| IV „ | წერილები „ცნობის ფურც.“-„მოამბ.“ 1901—1902 წ. | | 85 კ. |



**ი ნ ჟ ე ნ ე რ ი**
# ი. ს. კონდოევი
**ტფილისი.**
**ელისაბედის ქ, 164. ბაქოს ქ. კუთხე.**

**ც ე მ ე ნ ტ ი**
ასფალტი, უდრონი, ცეცხლის მძლე აგური და თიხა, ლურსმეულობა, „заклепки“, გულცარიელი აგური და კრამიტი და სხ., საშ. მასალა.

**რკინის კოჭები,**
**საქვაბე რკინები,**
**საკუთხე რკინები,**
**სახურავების რკინები.**
**(შავი და ცინკნარევი).**

ტელეფონი: კანტორისა 10—93 აგურხანისა № 11—96.

საშენებელი აგურები საკუთარ აგურხანიდან ვაკეზე 1474



**ხელოვნურად შეზავებული**
# სამკურნალო და ხილეულოვის
# წყალი
## მიტროფანე ლაღიძე და ამხ. სა.
მზადდება საუკეთესო ხილეულის წვენისაგან, წმინდა შაქრით, ქიმიურად გაწმენდილი მასალებისაგან, გამოხდილი და ნადუღი წყლით.

**გემო და სუნი საამური აქვს.**

ფირმა დაჯილდოვებულია წყლის საუკეთესო ღირსებისათვის დიდ-ოქროსა და ვერცხლის მედლებით და ცნობილია სრულიად უვნებლად ტფილისის გუბერნიის სამკურნალო მართველობისაგან № 5792.

ქარხნები იმყოფება: **ტფილისში, გოლოვინის პროსპ. № 5**
1407 **ტელეფონი № 411, ქუთაისში—პუშკინის ქუჩა № 6.**



# იმერული შამპანიური
# ღ ვ ი ნ ო ე ბ ი,
## ფილიპე ნიკოლოზის ძის ჭელიძისა ქუთაისში,
„კ ო ლ ხ ი დ ა“ და „თ ა მ ა რ ა“
მოიპოვება გასასყიდად ტფილისში:

1) **ვაგზლის ქუჩაზე, ზ. დ. თოიძის სეგასტრონომიო მაღაზიაში** და
2) **მიხეილ. პროსპ. № 5, ა. ზ. ბერელაშვილის ღვინის საწყობში.**

**ფასები 1—20 კ. 1 50 მან.** ფირმა დაჯილდოვებულია რუსეთის გამოფენებზე ერთი ოქროსი და ოთხი ვერცხლის მედლებით. 1166



ვაჭრობა-მრეწველობის უწყებაში მყოფი
# ბუხჰალტერიის პრაქტიკული კურსები
და კომერციული ანგარიში
# ი. ფ. პალატნიკოვისა,
(ტფილისი, მიხეილის ქუჩა, 132).

1912—13 წლის სემესტრში ქალ-ვაჟთ შეუძლიანთ მიღების თხოვნა შემოიტანონ და ჩაეწერნენ ყოველ დღე დილის 10 საათიდან საღამოს 9 საათამდე. მეცადინეობა 15 სექტემბერს დაიწყო.

კურსებზე ორივე სქესის მსმენელნი იძენენ საფუძვლიანსა და სრულიად დამთავრებულ მომზადებას, კანტორა ბუხჰალტერიისა და საალებ-მიცემო მიწერ-მოწერის დამოუკიდებლად საწარმოებლად.

კურსებზე შემსვლელნი საფუძვლიანად სწავლობენ: 1. **ბუხჰალტერიას** უბრალოს, ორმაგს, იტალიურს, გერმანულს, ამერიკულსა, ფრანგულსა და ახალ რუსულს (ყველა სისტემის შესასწავლად სავალდებულოა პრაქტიკული მუშაობა) ბ) **ანგარიშების წარმოებას:** საზოგადოდ საალებ-მიცემოს, საბანკოს, საქარხნოს, საზოგადოს, სასოფლო-მეურნეობისას, ქალაქისას და ერობისას. 2. საკომერციო არითმეტიკას, 3. სავაჭრო უფლებას, 4) თამასუქების უფლებას, 5) საალებ-მიცემო მიწერ-მოწერას, 6) ანგარიშს საანგარიშო ჩოთქზე, 7) ლამაზსა და სწორ წერას (კალიგრაფიას), 8) საწერ მანქანის ხმარებას, 9) რუსულ ენას, 10) არითმეტიკას, 11) **უცხო ენებს:** ინგლისურს, ფრანგულსა და გერმანულს, 12) უცხო ენებზე საალებ-მიცემო მიწერ-მოწერას.

**რუსულსა და არითმეტიკის მსმენელთ უფასოდ ასწავლიან.**

მასწავლებლებად მოწვეულნი არიან უმაღლეს სწავლა მიღებული სპეციალისტები. კურსების წესდება და პროგრამა მსურველთ უფასოდ ეგზავნებათ. 1447



**ქ. გ ო რ შ ი**
**ისყიდება** ძველ კვირაცხოვლის ქუჩის კუთხეში **ორ სართულიანი ახლად აშენებული სახლი,** სარდაფით და შუშაბანდით. ნახვა ამ შენობისა შეიძლება დილის 10—2 საათამდე და საღამოთი 5—7 საათამდე. 693



# ვკისრულობ:
1. დაგირავებას და გადაგირავებას ყოველ მამულებისას როგორც ქალაქებში, აგრეთვე სოფლებში.

2. უძრავ ქონებათა სყიდვა-გაყიდვას.

3. მადნეულობის გამოკვლევას და დამუშავებას.

4. ყოველგვარ არზების და პირობის ქაღალდის შედგენას.

5. ხე-ტყის მასალის მყიდველის და გამყიდველის შოვნას. მთხოვნელებს ვიღებ ყოველ დღე გარდა კვირისა და უქმე დღისა, დილის თერთმეტის ნახევრიდან 12 საათამდე და საღამოთი ექვსიდან 7 ს.-მდე. **ბინა: ქ. ტფილისი, გოლ. პროსპ.,** სახლი **მანთაშევისა,** სასტუმრო „უნივერსალი“, № 2, ტელეფონი № 499 **იოსებ კირილეს ძე რაზმაძე** 1496



პუშკინის ქუჩაზე, № 9,
# იძლევა ქირით
# ორი დიდი თვალი მაღაზია,
შეიძლება შუაზედაც გაიყოს **ორ დუქნად.**

მაღაზიის ზევით მეორე სართულში
## ქირით იძლევა ახლად შეკეთებული ხუთი ოთახი,
კუხნით, წყლით და ყოველივე მოწყობილობით.
პირობების შეტყობა მსურველთ შეუძლიანთ იქვე,
**ძმ. ძებველოვების** თევზის მაღაზიაში.



**◆ გამოსულია და იყიდება ◆**
## ნ. შიუკაშვილის
პიესა **„მემონრონა“,** დრამა 4 მოქმედებ.
ფასი 30 კაპ.



# უწყება
## მ. ხ.
ამით პატივი გვაქვს ვაუწყოთ პატივცემულ საზოგადოებას, რომ ჩვენი მუშტრის მუდმივმა ზრდამ გვაიძულა სავაჭრო ბინის (მაღაზია და სახელოსნო) გაფართოება, სავაჟო და საქალებო განყოფილებისა, რამაც შეგვაძლებინა ამ სეზონისათვის დაგვემზადებინა დიდძალი და აურაცხელი რამ საგულისგულო რჩეული ტანისამოსი, შეკერილი **პარიზისა, ვენისა და ინგლისის უკანასკნელ მოდათა ნიმუშების მიხედვით,** სულ უბრალო და სადა გემოვნებიდან დაწყებული უმაღლეს, სათუთ და წკრიალებულ გემოვნებამდე, ხელმისაწვდენ ფასად.

**გვაქვს აურაცხელის შიგრჩევით რჩეული, შეკერილი ტანისამოსი მამაკაცებისა, ქალებისა და ბავშვებისათვის და აგრეთვე ტანისამოსი კალპაუთა სასწავლებლის ყოველგვარ ფორმისა.**

მაღაზიასთან გვაქვს სამაგალითო სამკერვალო სახელოსნო სადაც შეიძლება დაკვეთა საზღვარგარეთისა და რუსეთის ქარხნების საუკეთესო საქონლის ტანისამოსისა.

ფასები შეუვაჭრებლად.

სრულის პატივისცემით
## ძმ. საფარიანცი და ტერ-საავოვი
## პარიზული მაღაზია
გოლოვინის პროსპ. სამხედრო ტაძრის პირდაპირ. 1525

ტელეფონი № 258.



# ამ დღეებში გამოვიდა გასასყიდად
## ახლად ჩაწერილი გრამოფონის
# ☛ ფირფიტები ☚
მრავალი ახალი: ქართულ, სომხურ, თათრულ და რუსულ ენაზე
შესრულებული საუკეთესო არტისტების მიერ.

**ОБЩЕСТВО ГРАММОФОНЪ СЪ ОГР. ОТВ.**

TRADE MARK ПИШУЩІЙ АМУРЪ — ОСТЕРЕГАЙТЕСЬ ПОДДѢЛОКЪ

მოითხოვეთ უფასო კატალოგები

ტფილისი, გოლოვინის პრ., 9.

სამხედრო ტაძრის პირდაპირ.

1512